

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №89

2019 წლის 15 თებერვალი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – „სატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-10 პუნქტისა და „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი – „სატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესი“.

მუხლი 2

ამ დადგენილების მოქმედება 2019 წლის პირველ სექტემბრამდე არ ვრცელდება ქვეყნის შიდა გადაზიდვებში ჩართულ სატრანსპორტო საშუალებებზე, გარდა ნარჩენების ან/და საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალებებისა.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

ტექნიკური რეგლამენტი

სატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ტექნიკური რეგლამენტი – „სატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესი“ (შემდგომში – რეგლამენტი) შემუშავებულია „სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ“ ევროპული შეთანხმების (ქენევა 1957 წლის 30 სექტემბერი) „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

2. რეგლამენტი განსაზღვრავს სატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის პირობებს, გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც „სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ“ ევროპული შეთანხმების (შემდგომში – ADR) და წინამდებარე რეგლამენტის დებულებები არ გამოიყენება, სახიფათო ტვირთის გადამზიდავ სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციასთან და მათ აღჭურვილობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე სატრანსპორტო საშუალებების დაშვებასთან და სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების მომზადებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, განსაზღვრული სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე სატრანსპორტო საშუალებების დაშვების მოწმობის გაცემის პირობებს, აგრეთვე, სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვის მონაწილეთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას.

მუხლი 2. რეგლამენტის მიზანი

რეგლამენტის მიზანია:

ა) საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებული გაერო-ს წესებისა და ADR-ის დებულებების მოთხოვნების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვა;

ბ) ADR-ს დებულებების საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაციისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნა;



გ) სახიფათო ტვირთების ტრანსპორტირებისას მძღოლის, მგზავრისა და ქვეითის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აგრეთვე, საავტომობილო გზების, საგზაო ნაგებობებისა და ტვირთის დაცულობის გაუმჯობესება;

დ) სახიფათო ტვირთების ტრანსპორტირებისას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, საგანგებო სიტუაციების, ადამიანისა და გარემოსათვის მიყენებული ზიანის პრევენცია.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავტოცისტერნა – სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გათვალისწინებულია სითხეების, აირების, ფხვიერი ან გრანულირებული ნივთიერებების გადასაზიდად და შედგება ერთი ან რამდენიმე დამონტაჟებული ცისტერნისგან;

ბ) გადასატანი ცისტერნა – 450 ლიტრზე მეტი ტევადობის, კომბინირებული გადაზიდვისათვის განკუთვნილი ცისტერნა, რომელიც გამოიყენება აირების გადასაზიდად. შესაძლებელი უნდა იყოს მისი დატვირთვა და გადმოტვირთვა ავსებულ მდგომარეობაში, კონსტრუქციული მოწყობილობების მოხსნის გარეშე;

გ) გამონაკლისი – ამ რეგლამენტით განსაზღვრული ნორმა, რომელიც ათავისუფლებს კონკრეტული სახის სახიფათო ტვირთს იმ მოთხოვნებისაგან, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება სახიფათო ტვირთის მიმართ;

დ) განსაკუთრებით სახიფათო ტვირთები – სახიფათო ტვირთები, რომლებსაც მიკუთვნებული აქვთ პირველი ან მეშვიდე კლასი, ამ რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

ე) დამონტაჟებული ცისტერნა – 1000 ლიტრზე მეტი მოცულობის ცისტერნა, რომელიც სტაციონარულად არის დამაგრებული სატრანსპორტო საშუალებაზე (რომელიც მოცემულ შემთხვევაში ხდება ავტოცისტერნა) ან წარმოადგენს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების ჩარჩოს შემადგენელ ნაწილს;

ვ) მასიური ტვირთის საშუალო ტვირთამწეობის კონტეინერი (შემდგომში – მტსტკ) – მყარი ან დრეკადი გადასატანი ტარა;

ვ.ა) რომელსაც გააჩნია შემდეგი მოცულობა:

ვ.ა.ა) არაუმეტეს 3მ³ ამ რეგლამენტის დანართი №1-ით გათვალისწინებული II და III შეფუთვის ჯგუფებით განსაზღვრული მყარი და თხევადი ნივთიერებების შემთხვევაში;

ვ.ა.ბ) არაუმეტეს 1.5მ³ ამ რეგლამენტის დანართი №1-ით გათვალისწინებული I შეფუთვის ჯგუფის მყარ ნივთიერებებთან დაკავშირებით, როდესაც გამოყენებულია დრეკადი, მყარი პლასტმასის, შედგენილი, ბოჭკოვანი მუყაოსა თუ ხის მტსტკ-ები;

ვ.ა.გ) არაუმეტეს 3მ³ ამ რეგლამენტის დანართი №1-ით გათვალისწინებული I შეფუთვის ჯგუფის მყარ ნივთიერებებთან დაკავშირებით, როდესაც გამოყენებულია ლითონის მტსტკ-ები;

ვ.ა.დ) არაუმეტეს 3მ³ მე-7 კლასით გათვალისწინებულ რადიოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით;

ვ.ბ) რომელიც გათვალისწინებულია მექანიკური დამუშავებისთვის;

ვ.გ) რომელიც მედეგია დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების ოპერაციების დროს წარმოდგენილი დატვირთვების მიმართ;

ზ) მომატებული საფრთხის ტვირთები – ტვირთები, რომლებიც შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული ტერორისტულ აქტებში და შესაბამისად, გამოიწვიოს ისეთი მძიმე შედეგები, როგორცაა მრავალრიცხოვანი ადამიანური დანაკარგი, მასობრივი ნგრევა ან, მე-7 კლასის ტვირთების შემთხვევაში, მასობრივი სოციალურ-ეკონომიკური რყევები;

თ) მრავალელემენტური აირის კონტეინერი – იმ ელემენტების შემცველი კონტეინერი, რომელიც ერთმანეთს უკავშირდება კოლექტორით და აწყობილია ჩარჩო კონსტრუქციაზე. მრავალელემენტური აირის კონტეინერის შემადგენელ ელემენტებად განიხილება: ბალონები, მილები, ბალონების შეკვრა, წნევის



დოკუმენტი, ასევე აირების გადასატანი 450 ლიტრზე მეტი ტევადობის ცისტერნები;

ი) მსხვილგაბარიტიანი ტარა – ტარა, რომელიც შედგება ნაკეთობებისა თუ შიდა ტარის შემცველი გარე ტარისგან და რომელიც:

ი.ა) გათვალისწინებულია მექანიკური დამუშავებისთვის;

ი.ბ) აღემატება 400 კგ სუფთა მასას ან 450 ლიტრ ტევადობას, თუმცა მისი მოცულობა არ აჭარბებს 3მ³-ს;

კ) ნარინჯისფერი ტაბლო – საინფორმაციო ტაბლო, რომელზეც გამოსახულია ზედა ნახევარში ნივთიერებებისა და ნაკეთობების საშიშროების საიდენტიფიკაციო ნომერი, ხოლო ქვედა ნახევარში გაეროს ნომერი და გამოიყენება სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას სატრანსპორტო საშუალებებზე ამ ინფორმაციის ვიზუალური მინიშნების მიზნით;

ლ) სატრანსპორტო ერთეული – ავტოსატრანსპორტო საშუალება მისაბმელის (ნახევარმისაბმელის) გარეშე ან ავტოსატრანსპორტო საშუალების და მასზე მიმაგრებული მისაბმელის (ნახევარმისაბმელის) კომბინაცია;

მ) სატრანსპორტო საშუალება-ბატარეა – იმ ელემენტების შემცველი სატრანსპორტო საშუალება, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება კოლექტორით და სტაციონარულად მაგრდება აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებაზე. სატრანსპორტო საშუალება-ბატარეის შემადგენელ ელემენტებად განიხილება: ბალონები, მილები, ბალონების შეკვრა, წნევის დოლურები, ასევე აირების გადასატანი 450 ლიტრზე მეტი ტევადობის ცისტერნები;

ნ) სახიფათო ტვირთი – ნივთიერებები ან/და ნაკეთობები, რომლებიც საერთაშორისო ნორმებით, საშიშროების ტიპის მიხედვით 9 კლასადაა კლასიფიცირებული და რომელთა საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვა „სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ“ ევროპული შეთანხმების (ADR) შესაბამისად აკრძალულია ან დასაშვებია მხოლოდ გარკვეული პირობების დაცვით;

ო) ტვირთგამგზავნი – პირი, რომელიც ახორციელებს სახიფათო ტვირთების გაგზავნას როგორც საკუთარი, ასევე მესამე პირის სახელით. თუ ტრანსპორტირება ხორციელდება გადაზიდვის ხელშეკრულების საფუძველზე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტვირთგამგზავნი წარმოადგენს იმ პირს, რომელიც ახორციელებს სახიფათო ტვირთების გაგზავნას;

პ) ტვირთმიმღები – ტვირთმიმღები გადაზიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, თუ ტრანსპორტირების ოპერაცია ხორციელდება გადაზიდვის ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, ტვირთმიმღებად ჩაითვლება ის პირი, რომელიც სახიფათო ტვირთის ჩამოსვლისას იღებს მასზე პასუხისმგებლობას;

ჟ) ADR (European Agreement on Transport of Dangerous Goods on Road) – „სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ“ ევროპული შეთანხმება, რომელიც დაიდო 1957 წლის 30 სექტემბერს ქ. ჟენავაში, აღნიშნულ შეთანხმებაში განხორციელებულ ცვლილებებთან ერთად;

რ) ADR-ის მოწმობა მძღოლის მომზადების შესახებ – ADR-ის მოწმობა მძღოლის მომზადების შესახებ – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მძღოლმა გაიარა სახიფათო ტვირთების გადაზიდვის შესახებ საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი პროგრამით მოსამზადებელი კურსი და ჩააბარა სახიფათო ტვირთების გადაზიდვის სპეციალური მოთხოვნების ცოდნის შესახებ გამოცდა;

ს) AT ტიპის სატრანსპორტო საშუალება:

ს.ა) სატრანსპორტო საშუალება, EX/III ან FL ამ MEMU ტიპის სატრანსპორტო საშუალებების გარდა, განკუთვნილი სახიფათო ტვირთების გადასაზიდად 1 მ³-ზე მეტი ტევადობის მქონე დამონტაჟებული ცისტერნებით ან სახსნელი ცისტერნებით, ან 3 მ³-ზე მეტი ინდივიდუალური ტევადობის მქონე კონტეინერ-ცისტერნებით, გადასატანი ცისტერნებითა და მრავალელემენტური აირის კონტეინერებით; ან

ს.ბ) სატრანსპორტო საშუალება-ბატარეა 1მ³-ზე მეტი საერთო ტევადობით, FL ტიპის სატრანსპორტო საშუალებების გარდა;

ტ) EX/II ან EX/III ტიპის სატრანსპორტო საშუალება – სატრანსპორტო საშუალება, განკუთვნილი ფეთქებადი ნივთიერებებისა და ნაკეთობების (1 კლასი) გადასაზიდად;



უ) FL ტიპის სატრანსპორტო საშუალება:

უ.ა) სატრანსპორტო საშუალება, განკუთვნილი იმ სითხეების გადასაზიდად, რომელთა აფეთქების ტემპერატურა არ აღემატება 60^o-ს (გარდა დიზელის საწვავისა, რომელიც შეესაბამება სტანდარტს EN 590:2013 + AC:2014, გაზოილისა და მსუბუქი საღუმელე საწვავისა – გაეროს №1202 – სტანდარტში EN 590:2013 + AC:2014 მითითებული აფეთქების ტემპერატურით) 1 მ³-ზე მეტი ტევადობის მქონე დამონტაჟებული ცისტერნებით ან სახსნელი ცისტერნებით, ან 3 მ³-ზე მეტი ინდივიდუალური ტევადობის მქონე კონტეინერ-ცისტერნებით ან გადასატანი ცისტერნებით; ან

უ.ბ) სატრანსპორტო საშუალება, განკუთვნილი ადვილაალებადი აირების გადასაზიდად 1 მ³-ზე მეტი ტევადობის მქონე დამონტაჟებული ცისტერნებით ან სახსნელი ცისტერნებით, ან 3 მ³-ზე მეტი ინდივიდუალური ტევადობის მქონე კონტეინერ-ცისტერნებით, ან გადასატანი ცისტერნებით, ან მრავალელებმენტიანი აირის კონტეინერებით; ან

უ.გ) სატრანსპორტო საშუალება-ბატარეა 1 მ³-ზე მეტი საერთო ტევადობით, განკუთვნილი ადვილაალებადი აირების გადასაზიდად; ან

უ.დ) სატრანსპორტო საშუალება, განკუთვნილი სტაბილიზებული წყალბადის პეროქსიდის ან 60%-ზე მეტი წყალბადის პეროქსიდის შემცველი სტაბილიზებული წყალბადის პეროქსიდის წყლის ხსნარის (კლასი 5.1, გაეროს №2015) გადასაზიდად 1 მ³-ზე მეტი ტევადობის მქონე დამონტაჟებული ცისტერნებით ან სახსნელი ცისტერნებით ან 3 მ³-ზე მეტი ინდივიდუალური ტევადობის მქონე კონტეინერ-ცისტერნებით ან გადასატანი ცისტერნებით;

უ.ე) MEMU (Mobile Explosives Manufacturing Unit – ფეთქებადი ნივთიერებების მობილური დანადგარი) – დანადგარი ან სატრანსპორტო საშუალება, რომელზეც დამონტაჟებულია აღნიშნული დანადგარი, იმ სახიფათო ტვირთებისგან ფეთქებადი ნივთიერებების დასამზადებლად და დასამუხტად, რომლებიც არ წარმოადგენს ფეთქებადს. დანადგარი შედგება სხვადასხვა ცისტერნისგან, მასიური ტვირთების კონტეინერებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობებისგან, ასევე ტუმბოებისა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი მოწყობილობებისგან. MEMU შეიძლება აღჭურვილი იყოს სპეციალური განყოფილებებით შეფუთული ფეთქებადი ნივთიერებებისათვის (მიუხედავად იმისა, რომ MEMU-ს განმარტება ითვალისწინებს გამონატყვამს „ფეთქებადი ნივთიერებების დამზადება და დამუხტვა“, MEMU-სთან დაკავშირებული მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ გადაზიდვისას და არა ფეთქებადი ნივთიერებების დამზადებისა და დამუხტვის პროცესში);

უ.ვ) N.O.S პოზიცია (პოზიცია, რომელიც კონკრეტულად არ არის მითითებული) – შეჯამებული პოზიცია, რომელსაც შეიძლება მიეკუთვნოს ნივთიერებები, ნარევი, ხსნარები ან ნაკეთობები იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ არის მითითებული დასახელებით ADR-ის 3.2. თავის A ცხრილში და ავლენს N.O.S. პოზიციის კლასის, კლასიფიკაციის კოდის, შეფუთვის ჯგუფის, დასახელებისა და აღწერილობის ქიმიურ, ფიზიკურ და/ან სახიფათო თვისებებს.

მუხლი 4. გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ADR-ის და წინამდებარე რეგლამენტის დებულებები არ გამოიყენება

ADR-ის და წინამდებარე რეგლამენტის დებულებები არ გამოიყენება შემდეგ გამონაკლის შემთხვევებში:

ა) სატრანსპორტო ოპერაციის მახასიათებლებთან დაკავშირებული გამონაკლისები:

ა.ა) ფიზიკური პირის მიერ სახიფათო ტვირთების გადაზიდვისას, როდესაც აღნიშნული ტვირთი შეფუთულია საცალო გაყიდვების მიზნით და გათვალისწინებულია პირადი ან საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის, დასასვენებელი ან სპორტული ღონისძიებებისთვის, იმ პირობით, თუ მიღებულია შესაბამისი ზომები გადაზიდვის ნორმალურ პირობებში ტვირთის შიგთავსის გაჟონვის პრევენციის მიზნით. თუ აღნიშნული ტვირთი წარმოადგენს ადვილაალებად სითხეს, რომლის გადაზიდვაც ხორციელდება მრავალჯერადი გამოყენების ჭურჭლით, შევსებული ფიზიკური პირების მიერ ან მათთვის, აღნიშნული სითხის საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 ლიტრს თითოეულ ჭურჭელზე და 240 ლიტრს ერთ სატრანსპორტო ერთეულზე. მტსტკ-ში, მსხვილგაბარიტიან ტარასა თუ ცისტერნებში მოთავსებული სახიფათო ტვირთი არ ჩაითვლება შეფუთულად საცალო გაყიდვების მიზნით;

ა.ბ) იმ მექანიზმებისა თუ მოწყობილობების გადაზიდვისას, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ADR-ის



A დანართში და სავარაუდოდ შეიცავენ სახიფათო ტვირთებს მათ შიდა ან საექსპლუატაციო მოწყობილობებში, იმ პირობით, თუ მიღებულია შესაბამისი ზომები გადაზიდვის ნორმალურ პირობებში ტვირთის შიგთავსის გაჭონვის პრევენციის მიზნით;

ა.გ) საწარმოების მიერ განხორციელებული გადაზიდვისას, რომელიც ხორციელდება მათ ძირითად საქმიანობაზე დამატების სახით, როგორცაა ტვირთების მიწოდება სამშენებლო ან საინჟინრო-ტექნიკურ ობიექტებზე ან მათი დაბრუნება აღნიშნული ობიექტებიდან, ან აზომვით, სარემონტო და ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სამუშაოებთან მიმართებაში, არაუმეტეს 450 ლიტრის ოდენობით თითოეულ ტარაზე (მტსტკ-სა და მსხვილგაბარიტიანი ტარის ჩათვლით) და ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში. ამასთანავე, უნდა განხორციელდეს შესაბამისი ზომები გადაზიდვის ნორმალურ პირობებში ტვირთის შიგთავსის გაჭონვის პრევენციის მიზნით. აღნიშნული გამონაკლისი არ გამოიყენება მე-7 კლასის სახიფათო ტვირთების შემთხვევაში. ასევე, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი არ ეხება იმ გადაზიდვებს, რომლებიც სრულდება ამ საწარმოების მიერ საკუთარი მიწოდების ან გარე თუ შიდა განაწილების მიზნით;

ა.დ) კომპეტენტური ორგანოების მიერ განხორციელებული გადაზიდვა საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად ან მათი ზედამხედველობის ქვეშ, რამდენადაც აღნიშნული გადაზიდვები აუცილებელია საავარიო-სამაშველო სამუშაოების განსახორციელებლად, კერძოდ, გადაზიდვები, რომლებიც ხორციელდება:

ა.დ.ა) ტექნიკური დახმარების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც გამოიყენება ავტოსაგზაო შემთხვევაში მოყოლილი, გაუმართავი და სახიფათო ტვირთების შემცველი სატრანსპორტო საშუალებების გადასაზიდად;

ა.დ.ბ) უბედურ ან ავტოსაგზაო შემთხვევაში მოყოლილი სახიფათო ტვირთის ლოკალიზებისა და შეგროვების და მათი უახლოეს სათანადო უსაფრთხო ადგილზე გადატანის მიზნით;

ა. ე) ადამიანების გადასარჩენად და გარემოს დასაცავად გათვალისწინებული ავარიული გადაზიდვა, იმ პირობით, რომ მიღებულია შესაბამისი ზომები აღნიშნული გადაზიდვების სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;

ა.ვ) გაუწმენდავი, ცარიელი, სტაციონარული სასაწყობო რეზერვუარების გადაზიდვა, რომლებიც შეიცავდა ADR-ის 2.2.2.1.3 პუნქტით განსაზღვრული მე-2 კლასის A, O ან F ჯგუფის აირებს, II ან III შეფუთვის ჯგუფში შემავალი მე-3 ან მე-9 კლასის ნივთიერებებს, ან ამ რეგლამენტის დანართი №1-ით გათვალისწინებული II ან III შეფუთვის ჯგუფში შემავალი 6.1 კლასის პესტიციდებს, შემდეგი პირობების დაცვით:

ა.ვ.ა) ყველა ნახვრეტი, წნევის შემზღვეველი მოწყობილობის გარდა (მისი არსებობის შემთხვევაში), ჰერმეტიკულად არის დახურული;

ა.ვ.ბ) მიღებულია შესაბამისი ზომები გადაზიდვის ნორმალურ პირობებში ტვირთის შიგთავსის გაჭონვის პრევენციის მიზნით;

ა.ვ.გ) ტვირთი დამაგრებულია ჩარჩოებზე, გისოსებსა თუ სხვა სატრანსპორტო-ჩასატვირთ მოწყობილობებში, ან სატრანსპორტო საშუალებებსა თუ კონტეინერებზე იმ სახით, რომ შეუძლებელი იყოს მისი მორყევა ან გადაადგილება გადაზიდვის ნორმალურ პირობებში;

ა.ზ) ამ პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი არ ეხება იმ სტაციონარულ, შესანახ რეზერვუარებს, რომლებიც შეიცავს დესენსიბილიზებულ ფეთქებად ნივთიერებებს ან ისეთ ნივთიერებებს, რომელთა გადაზიდვაც იკრძალება ADR-ის მიერ.

ბ) აირების გადაზიდვასთან დაკავშირებული გამონაკლისები:

ბ.ა) სატრანსპორტო საშუალებების საწვავის ავზებში ან ბალონებში მოთავსებული აირების გადაზიდვა, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის ან მათი ნებისმიერი მოწყობილობის ფუნქციონირებისათვის (მაგალითად, სამაცივრო აღჭურვილობის). აირები შეიძლება გადაიზიდოს ჩამაგრებულ საწვავის ავზებში ან ბალონებში, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სატრანსპორტო საშუალების ძრავას ან/და დამხმარე მოწყობილობას ან წნევის ქვეშ არსებულ გადასატან რეზერვუარებში, რომლებიც პასუხობენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ.ბ) სატრანსპორტო ერთეულისათვის განკუთვნილი საწვავის ავზებისა და ბალონების მოცულობა, მათ შორის ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დაშვებულთა ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ენერჯის (



მჯ) ან მასის (კგ) 54 000 მჯ ენერჯის ეკვივალენტ ოდენობას.

შენიშვნა 1: 54 000 მჯ ენერჯის ეკვივალენტი შეესაბამება ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საწვავის ლიმიტს (1500 ლიტრი). საწვავის ენერჯის შემცველობა წარმოდგენილია შემდეგი ცხრილით:

საწვავი	ენერჯის შემცველობა
დიზელი	36 მჯ/ლიტრი
ბენზინი	32 მჯ/ლიტრი
ბუნებრივი აირი/ბიოგაზი	35 მჯ/ნმ ³
გათხევადებული ნავთობის აირი (LPG)	24 მჯ/ლიტრი
ეთანოლი	21 მჯ/ლიტრი
ბიოდიზელი	33 მჯ/ლიტრი
ემულსიური საწვავი	32 მჯ/ლიტრი
წყალბადი	11 მჯ/ნმ ³

საერთო მოცულობამ არ უნდა გადააჭარბოს:

-1 080 კგ-ს, შეკუმშული ბუნებრივი აირის (შემდგომში ასევე „CNG“) და გათხევადებული ბუნებრივი აირის (შემდგომში ასევე „LNG“) შემთხვევაში.

-2 250 ლიტრს, გათხევადებული ნავთობის აირი (შემდგომში ასევე „LPG“)-ის შემთხვევაში.

შენიშვნა 2: გადაზიდვისას გამოყენებულ აღჭურვილობაზე მორგებული კონტეინერი, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებაზეა მიმაგრებული, მიიჩნევა ავტოსატრანსპორტო საშუალების შემადგენელ ნაწილად და სარგებლობს იმავე გამონაკლისებით, რომლებიც დაკავშირებულია აღჭურვილობის ოპერირებისთვის აუცილებელ საწვავთან;

ბ.გ) ADR-ის 2.2.2.1.3. პუნქტით გათვალისწინებულ მხუთავ (A) და მუანგავ (O) ჯგუფებს მიკუთვნებული აირების გადაზიდვა, თუ აირის წნევა, რეზერვუარსა თუ ცისტერნაში, 20⁰C ტემპერატურაზე არ აღემატება 200 კპა-ს (2 ბარს) და თუ აირი არ წარმოადგენს გათხევადებულ ან გაყინულ გათხევადებულ აირს. აქ იგულისხმება ნებისმიერი სახის რეზერვუარი ან ცისტერნა, მაგალითად: ის რეზერვუარი ან ცისტერნა, რომელიც წარმოადგენს მანქანებისა და აპარატურის ნაწილებს (აღნიშნული გამონაკლისი არ ვრცელდება ნათურებზე);

ბ.დ) სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისთვის გამოსაყენებელ მოწყობილობებში (მაგალითად: ცეცხლმაქრები) შემავალი აირების გადაზიდვა, სათადარიგო ნაწილების (მაგალითად, დაბერილი პნევმატური სალტეების) ჩათვლით; ზემოაღნიშნული გამონაკლისი ასევე გამოიყენება ტვირთების სახით დაბერილი პნევმატური სალტეების გადაზიდვის შემთხვევაშიც;

ბ.ე) სატრანსპორტო საშუალებების სპეციალურ მოწყობილობაში შემავალი აირების გადაზიდვისას, რომლებიც აუცილებელია ამ სპეციალური მოწყობილობის ფუნქციონირებისთვის გადაზიდვების დროს (მაგალითად, მაცივებელი სისტემები, თევზების მოსათავსებელი რეზერვუარები, გამათბობლები და ა.შ.) ასევე, სათადარიგო სათავსები აღნიშნული მოწყობილობებისთვის ან გაუწმენდავი ცარიელი შემცველი სათავსები, რომელთა გადაზიდვაც ხდება იმავე სატრანსპორტო ერთეულში;

ბ.ვ) საკვებ პროდუქტებში შემავალი აირების გადაზიდვისას (გარდა გაეროს №1950-ისა), გაზირებული სასმელების ჩათვლით;



ბ.ზ) სპორტული მოხმარების ბურთებში შემავალი აირების გადაზიდვისას.

გ) თხევადი საწვავის გადაზიდვასთან დაკავშირებული გამონაკლისები:

გ.ა) სატრანსპორტო საშუალებების საწვავის ავზებში მოთავსებული თხევადი საწვავის გადაზიდვისას, რომელიც გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის ან მათი ნებისმიერი მოწყობილობის ფუნქციონირებისათვის გადაზიდვის პროცესში და რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

გ.ა.ა) თხევადი საწვავის გადაზიდვა შესაძლებელია ჩამაგრებულ საწვავის ავზ(ებ)ში, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სატრანსპორტო საშუალების ძრავსა და/ან დამხმარე მოწყობილობებთან და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ან გადასატან საწვავის სატევ(ებ)ში (მაგალითად: კანისტრებში).

გ.ა.ბ) ჩამაგრებული საწვავის ავზის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1500 ლიტრს ერთ სატრანსპორტო ერთეულზე, ხოლო მისაბმელზე დამონტაჟებული ავზის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 500 ლიტრს. გადასატანი საწვავის სატევებით შესაძლებელია მაქსიმუმ 60 ლიტრი თხევადი საწვავის გადატანა ერთ სატრანსპორტო ერთეულზე. აღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება ამ მუხლის „ა.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.

შენიშვნა 1: გადაზიდვისას გამოყენებული აღჭურვილობაზე მორგებული კონტეინერი, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებაზეა მიმაგრებული, მიიჩნევა ავტოსატრანსპორტო საშუალების შემადგენელ ნაწილად და სარგებლობს იმავე გამონაკლისებით, რაც დაკავშირებულია აღჭურვილობის ოპერირებისთვის აუცილებელ საწვავთან.

შენიშვნა 2: სატრანსპორტო ერთეულისათვის განკუთვნილი საწვავის ავზებისა და ბალონების ჯამური მოცულობა, მათ შორის აირის საწვავების შემცველთა ჩათვლით, ამ პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის პირველი შენიშვნის გათვალისწინებით, არ უნდა აღემატებოდეს ენერჯის (მჯ) ან მასის (კგ) 54 000 მჯ ენერჯის ეკვივალენტ ოდენობას.

დ) სპეციალური დებულებები:

კონკრეტული სახიფათო ტვირთების გადაზიდვისას, რომლებიც ADR-ის 3.3 თავის ზოგიერთი სპეციალური დებულებებით ნაწილობრივ ან სრულად თავისუფლდებიან ADR-ის მოთხოვნებისგან, აღნიშნული გამონაკლისი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ADR-ის 3.2 თავის A ცხრილის მე-6 სვეტში, შესაბამისი სახიფათო ტვირთების გრაფაში მითითებულია სპეციალური დებულება.

ე) ერთი სატრანსპორტო ერთეულით გადატანილ ოდენობებთან დაკავშირებული გამონაკლისები:

ე.ა) თუ ერთი სატრანსპორტო ერთეულით გადასაზიდი სახიფათო ტვირთის ოდენობა, რომელიც განისაზღვრება ერთი კონკრეტული ნივთიერებისათვის ADR-ის 3.2 თავის A ცხრილის მე-15 სვეტის მრიცხველში მითითებული შესაბამისი ციფრით, რომელიც ამ რეგლამენტის №1 დანართის შესაბამისად ადგენს კონკრეტული ნივთიერების მაქსიმალურ ზღვრულ ოდენობას, არ აღემატება ამ ოდენობას, მისი გადაზიდვა გათავისუფლებულია ADR-ის 1.1.3.6.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან;

ე.ბ) იმ შემთხვევაში, თუ ამ რეგლამენტის №1 დანართის შესაბამისად, სხვადასხვა სატრანსპორტო კატეგორიებში შემავალი სახიფათო ტვირთების გადაზიდვა ხორციელდება იმავე სატრანსპორტო ერთეულით, შემდეგი მნიშვნელობების ჯამმა: პირველ სატრანსპორტო კატეგორიაში შემავალი ნივთიერებებისა და ნაკეთობების რაოდენობა გამრავლებული „50“-ზე; და მე-2 სატრანსპორტო კატეგორიაში შემავალი ნივთიერებებისა და ნაკეთობების რაოდენობა გამრავლებული „3“-ზე; და მე-3 სატრანსპორტო კატეგორიაში შემავალი ნივთიერებებისა და ნაკეთობების რაოდენობამ ჯამში არ უნდა გადააჭარბოს „1 000“-ს.

მაგალითი:

გადასაზიდა შემდეგი სახიფათო ნივთიერებები: UN 2334, UN 2333 და UN 2332. ამ ნივთიერებებისათვის, ADR-ის 3.2 თავის A ცხრილის მე-15 სვეტის მრიცხველში მოცემულია შემდეგი ციფრები: UN 2334-სთვის „1“; UN 2333-სთვის „2“ და UN 2332-სთვის „3“. დაგეგმილია გადაზიდვა შემდეგი ოდენობების გათვალისწინებით: UN 2332-სთვის 400 ლიტრი, UN 2333-სთვის 100 ლიტრი და UN 2334-სთვის 5 ლიტრი.

ზემოაღნიშნული პირობის მიხედვით: $400 + 300 (100 \times 3) + 250 (5 \times 50) = 950$.



ვინაიდან საერთო ჯამი წარმოადგენს 950-ს, რომელიც ნაკლებია 1000-ზე, შესაძლებელია წარმოდგენილი პროპორციით მათი გადაზიდვა ამ რეგლამენტისა და ADR-ის წესების გათვალისწინების გარეშე.

ვ) შეზღუდულ ოდენობებზე შეფუთულ სახიფათო ტვირთებთან დაკავშირებული გამონაკლისები:

ვ.ა) შეზღუდული ოდენობებით შეფუთული, გარკვეულ კლასებს მიკუთვნებული სახიფათო ტვირთების გადაზიდვა შესაძლებელია დაექვემდებაროს გამონაკლისს იმ პირობით, თუ დაკმაყოფილდება ADR-ის 3.4 თავში გათვალისწინებული მოთხოვნები და ამ პირობით სახიფათო ტვირთის გადაზიდვა დაექვემდებარება მხოლოდ ADR-ის 3.4.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;

ვ.ბ) შეზღუდული ოდენობებით შეფუთულ, გარკვეულ კლასებს მიკუთვნებული სახიფათო ტვირთების გადაზიდვის მარეგულირებელი დებულებები, შიდა ტარასა თუ ნაკეთობასთან დაკავშირებით მოქმედი რაოდენობრივი შეზღუდვა მითითებულია ყოველ ნივთიერებასთან დაკავშირებით ADR-ის 3.2 თავის A ცხრილის (7ა) სვეტში. ამგვარი შეზღუდული ოდენობებით შეფუთული სახიფათო ტვირთების შეზღუდული რაოდენობა, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე თავით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ექვემდებარება მხოლოდ ADR-ის 3.4.1. პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ამ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოყენებული უნდა იქნეს ADR-ის 3.2. თავის A ცხრილის (7ა) სვეტის მონაცემები და ამ რეგლამენტის დანართი №1-ით გათვალისწინებული ცხრილი.

მაგალითი: ნაფტალინი სუფთა (UN 1334) A ცხრილის (7ა) სვეტში ამ ნივთიერებისთვის არის მითითებული 5 კგ, რომელსაც არ უნდა აღემატებოდეს შიდა შეფუთვაში არსებული რაოდენობა და, როგორც წესი, უნდა იყოს გამოყენებული გარე შეფუთვაც. საერთო მასა არ უნდა აღემატებოდეს 30 კგ-ს (მტვრევადი ან ადვილად რღვევადი შიდა ტარის, როგორცაა მინისგან, ფაიფურისგან, კერამიკისა თუ გარკვეული პლასტმასის მასალისგან დამზადებული ტარა, შემთხვევაში ეს ნივთიერება უნდა განთავსდეს შესაბამის შუალედურ შეფუთვაში არაუმეტეს 20 კგ).

ამ შემთხვევაში 30-კილოგრამიან ყუთში მოთავსდება 6 ცალი 5-კილოგრამიანი შეფუთვა. რაც შეეხება ერთი სატრანსპორტო საშუალებით ამ ნივთიერების გადასაზიდ მაქსიმალურ ოდენობას, იგი განისაზღვრება ADR-ის 1.1.3.6. ცხრილის თანახმად, სადაც, ასევე, გათვალისწინებული უნდა იქნეს ADR-ის 3.2 თავის A ცხრილის (15) სვეტში აღნიშნული მრიცხველის მაჩვენებელი, რაც ამ კონკრეტული მაგალითის შემთხვევაში წარმოადგენს 3-ს. აღნიშნული ნიშნავს, რომ ADR-ის 1.1.3.6. ცხრილის მიხედვით მე-3 სატრანსპორტო კატეგორიით გადასაზიდი მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 1000 კილოგრამს. შესაბამისად, გადასაზიდი $1000 / 30 = 33$ ყუთს. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული ნივთიერებისათვის ADR-ის 3.2 თავის A ცხრილის (7ა) სვეტში მითითებული იქნება „0“, ეს მიანიშნებს, რომ აღნიშნული ნივთიერების გადატანა შეზღუდული ოდენობით შეფუთვით არ დაიშვება.

ე.გ) ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობებით განხორციელებულ შეფუთვაზე უნდა იქნეს დატანილი ამ რეგლამენტის დანართი №12-ით და ADR-ის 3.4.7.1.-ით გათვალისწინებული ნიშანი.

ვ) გამოთავისუფლებულ ოდენობებზე შეფუთულ სახიფათო ტვირთებთან დაკავშირებული გამონაკლისები:

ვ.ა) გამოთავისუფლებული ოდენობებით შეფუთული, გარკვეულ კლასებს მიკუთვნებული სახიფათო ტვირთების გადაზიდვა შესაძლებელია დაექვემდებაროს გამონაკლისს იმ პირობით, თუ დაკმაყოფილდება ADR-ის 3.5 თავში გათვალისწინებული მოთხოვნები და ამ პირობით სახიფათო ტვირთის გადაზიდვა დაექვემდებარება მხოლოდ ADR-ის 3.5.1.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;

ვ.ბ) სახიფათო ტვირთები, რომელთა გადაზიდვაც შესაძლებელია გამოთავისუფლებული ოდენობებით წინამდებარე თავის დებულებების შესაბამისად, წარმოდგენილია ADR-ის 3.2 თავის A ცხრილის (7ბ) სვეტში ასოებით და ციფრებით წარმოდგენილი კოდების ჩამონათვალის სახით. ამასთან, ADR-ის 3.2 თავის A ცხრილის (7ბ) სვეტში კონკრეტული ნივთიერებებისათვის აღნიშნული კოდები განისაზღვრება შემდეგი ცხრილის გათვალისწინებით:

კოდი	მაქსიმალური სუფთა რაოდენობა ყოველ შიდა ტარაზე (გრამებში მყარი ნივთიერებების შემთხვევაში და მილილიტრებში თხევადი ნივთიერებებისა და აირების შემთხვევაში)	მაქსიმალური სუფთა რაოდენობა ყოველ გარე ტარაზე (გრამებში მყარი ნივთიერებების შემთხვევაში და მილილიტრებში თხევადი ნივთიერებებისა და აირების შემთხვევაში, ან გრამებისა და მილილიტრების ჯამში შერეული შეფუთვის შემთხვევაში)
------	--	---



E0	არ დაიშვება გამოთავისუფლებული რაოდენობის სახით	
E1	30	1000
E2	30	500
E3	30	300
E4	1	500
E5	1	300

ამ ცხრილის გამოყენების შედეგად მიიღება გარე ტარაში გამოთავისუფლებული ოდენობით შეფუთული სახიფათო ტვირთის ოდენობა გრამებში (მყარი ნივთიერებებში) ან მილილიტრებში (თხევადი ნივთიერებებისათვის). ამგვარი ყუთების მაქსიმალური ოდენობა, რომელიც უნდა გადაიზიდოს ერთი სატრანსპორტო ერთეულით, შეადგენს 1000 ცალს.

მაგალითი: ნავტალინი სუფთა (UN 1334) ADR-ის 3.2 თავის A ცხრილის (7ბ) სვეტში ამ ნივთიერებისთვის არის მითითებულია E1 კოდი, რაც ამ ქვეპუნქტის გათვალისწინებით ცხრილის მიხედვით ნიშნავს, რომ ნავტალინის პირველადი შეფუთვა არ უნდა აჭარბებდეს 30 გრამს და მეორადი შეფუთვის (გარე ტარა) საერთო მასა არ უნდა აჭარბებდეს 1000 გრამს. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც სხვა დანარჩენ შემთხვევებში, არ უნდა აღემატებოდეს ერთ სატრანსპორტო ერთეულზე 1000 ცალს. იმ შემთხვევაში, თუ ADR-ის 3.2 თავის A ცხრილის (7ბ) სვეტში მითითებული იქნება „E0” ეს მიაჩნდება, რომ აღნიშნული ნივთიერების გადატანა გამონთავისუფლებული ოდენობით შეფუთვით არ დაიშვება.

ვ.გ) ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობებით განხორციელებულ შეფუთვაზე უნდა იქნეს დატანილი ამ რეგლამენტის დანართი №12-ით და ADR-ის 3.5.4.2-ით გათვალისწინებული ნიშანი.

ზ) ცარიელ, გაუწმენდავ ტარასთან დაკავშირებული გამონაკლისები:

ამ რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება ცარიელ გაუწმენდავ ტარაზე (მტსტკ-სა და მსხვილგაბარტიანი ტარის ჩათვლით), რომელიც შეიცავდა მე-2, მე-3, 4.1, 5.1, 6.1, მე-8 და მე-9 კლასების ნივთიერებებს, თუ მიღებული იქნება შესაბამისი ზომები 1-ლი-მე-9 კლასების ტვირთებისათვის დამახასიათებელი საფრთხეების ნეიტრალიზების მიზნით.

თ) ელექტროენერჯის აკუმულირებისა და გამომუშავების სისტემების გადაზიდვასთან დაკავშირებული გამონაკლისები:

თ.ა) წინამდებარე რეგლამენტის დებულებები არ გამოიყენება ელექტროენერჯის აკუმულირებისა და გამომუშავების სისტემებზე (მაგალითად: ლითიუმის ბატარეები, ელექტროკონდენსატორები, ასიმეტრიული კონდენსატორები, ლითონის ჰიდრიდის შენახვის სისტემები და საწვავის უჯრედები):

თ.ა.ა) რომლებიც დამონტაჟებულია სატრანსპორტო საშუალებაში და გათვალისწინებულია მისი მოძრაობის ან მისი ნებისმიერი მოწყობილობის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;

თ.ა.ბ) რომლებიც დამონტაჟებულია მოწყობილობაში აღნიშნული მოწყობილობის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად და გამოიყენება ან გათვალისწინებულია გამოსაყენებლად გადაზიდვების დროს (მაგალითად, პორტატული პერსონალური კომპიუტერი).

ი) გამონაკლისი იმ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებებში ან კონტეინერებში გაგრილების ან კონდიციონირების მიზნით:

სახიფათო ტვირთებზე, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებებში ან კონტეინერებში გაგრილების ან კონდიციონირების მიზნით ვრცელდება მხოლოდ ADR-ის 5.5.3. კარის მოთხოვნები.



კ) სახიფათო ტვირთების შემცველი ნათურების გადაზიდვასთან დაკავშირებული გამონაკლისები:

კ.ა) ამ რეგლამენტით გათვალისწინებული დებულებები არ გამოიყენება შემდეგი ნათურების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერებებს და ვერცხლისწყალს ADR-ის 3.3 თავის 366-ე სპეციალური დებულებით გათვალისწინებულ ოდენობაზე მეტი რაოდენობით:

კ.ა.ა) ნათურები, რომელთა შეგროვებაც ხდება უშუალოდ კერძო პირებისგან თუ საყოფაცხოვრებო მეურნეობიდან, მათი შეგროვების ან უტილიზაციის პუნქტში გადაზიდვისას;

შენიშვნა: აღნიშნული ასევე მოქმედებს იმ ნათურებთან დაკავშირებით, რომელთა მოწოდებასაც უზრუნველყოფენ კერძო პირები შეგროვების პირველად პუნქტში, და შემდგომ ამისა, რომელთა გადაზიდვაც ხორციელდება სხვა შეგროვების, შუალედური დამუშავების ან უტილიზაციის პუნქტებში.

კ.ა.ბ) ნათურები, რომლებიც შეიცავენ 1 გრამზე მეტ სახიფათო ტვირთს და შეფუთულია იმ სახით, რომ ყოველ შეფუთვაში არ იყოს წარმოდგენილი 30 გრამზე მეტი სახიფათო ტვირთი იმ პირობით, თუ:

კ.ა.ბ.ა) ნათურები დამზადებულია ხარისხის მართვის სერტიფიცირებული სისტემის შესაბამისად;

შენიშვნა: აღნიშნული მიზნისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სტანდარტი ISO 9001

და

კ.ა.ბ.ბ) ყოველი ნათურა, იმის მიუხედავად იქნება თუ არა შეფუთული შიდა ტარაში, ერთმანეთისგან გამოყოფილი ტიხრებით, ან წარმოდგენილი სადებ მასალაში ნათურების დაცვის მიზნით და განთავსებული მყარ გარე ტარაში, რომელიც აკმაყოფილებს ADR-ის 4.1.1.1 პუნქტით გათვალისწინებულ ზოგად დებულებებს და ასევე შეუძლია გაიაროს 1,2 მეტრის სიმალიდან ჩამოვარდნის გამოცდა;

კ.ა.გ) გამოყენებული, დაზიანებული ან წუნდებული ნათურები, რომლებიც შეიცავენ არაუმეტეს 1 გრამ სახიფათო ტვირთს, ყოველ შეფუთვაში არაუმეტეს 30 გრამ სახიფათო ტვირთის შემცველობასთან ერთად, როდესაც მათი გადაზიდვა ხდება შეგროვების ან უტილიზაციის პუნქტიდან. ნათურები უნდა შეიფუთოს საკმარისად გამძლე გარე ტარაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული გადაზიდვის ნორმალურ პირობებში შიგთავსის გამოთავისუფლება, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ADR-ის 4.1.1.1 პუნქტით გათვალისწინებულ ზოგად დებულებებს და გაიაროს არანაკლებ 1,2 მეტრის სიმალიდან ჩამოვარდნის გამოცდა;

კ.ა.დ) ნათურები, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ ADR-ის 2.2.2.1 პუნქტით გათვალისწინებულ A და O ჯგუფის აირებს იმ პირობით, თუ მათი შეფუთვა მოხდება ისე, რომ ნათურის წყვეტის შედეგად გამოწვეული ფეთქებადი ეფექტი შეკავებული იქნეს შეფუთვის ფარგლებში;

კ.ა.ე) რადიოაქტიური მასალის შემცველი ნათურების გადაზიდვა რეგულირდება ADR-ის 2.2.7.2.2.2 პუნქტით.

მუხლი 5. სახიფათო ტვირთების კლასიფიკაცია

1. ADR-ის მე-2 ნაწილში მოყვანილი კლასიფიკაციის შესაბამისად, სახიფათო ტვირთები საშიშროების ტიპის, ასევე მათი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების მიხედვით, იყოფა შემდეგ კლასებად და ქვეკლასებად:

- კლასი 1 - ფეთქებადი ნივთიერებები და ნაკეთობები;
- ქვეკლასი 1.1 - ნივთიერებები და ნაკეთობები, რომელთაც ახასიათებთ მასიური აფეთქების საშიშროება (მასიური აფეთქება ნიშნავს აფეთქებას, რომელიც პრაქტიკულად მყისიერად ვრცელდება თითქმის მთელ ტვირთზე);
- ქვეკლასი 1.2 - ნივთიერებები და ნაკეთობები, რომელთაც ახასიათებთ გაფანტვის საშიშროება, მაგრამ არა მასიური აფეთქების საშიშროება;
- ნივთიერებები და ნაკეთობები, რომელთაც ახასიათებთ ხანძრის გაჩენის, აგრეთვე უმნიშვნელო აფეთქების ან უმნიშვნელო გაფანტვის საშიშროება, და/ან ორივე ერთად,



თუმცა არა მასიური აფეთქების საშიშროება:

- ქვეკლასი 1.3 - ა) რომლებიც წვის დროს გამოყოფენ სხვისებური სითბოს მნიშვნელოვან რაოდენობას, ან;
- ბ) რომლებსაც, თანმიმდევრულად წვისას, ახასიათებთ უმნიშვნელო აფეთქების ან გაფანტვის ეფექტები ან ორივე მათგანი;
- ნივთიერებები და ნაკეთობები, რომლებიც წარმოადგენენ აფეთქების მხოლოდ უმნიშვნელო საფრთხეს გადაზიდვების დროს აალების ან ინიცირების შემთხვევაში.
- ქვეკლასი 1.4 - შიგნით და ამ შემთხვევაში არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზომისა თუ მოცულობის ნატეხების გავრცელება. გარეგანმა ხანძარმა არ უნდა გამოიწვიოს შეფუთვის თითქმის მთლიანი შიგთავსის პრაქტიკულად მყისიერი აფეთქება;
- ძალიან დაბალი მგრძობელობის ნივთიერებები, რომელთაც ახასიათებთ მასიური აფეთქების საშიშროება, თუმცა აღენიშნებათ იმდენად დაბალი მგრძობელობა, რომ არსებობს მათი ინიცირების ან წვიდან დეტონაციის მდგომარეობაში გადასვლის ძალიან მცირე ალბათობა გადაზიდვების ნორმალურ პირობებში. მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად, ისინი არ უნდა აფეთქდნენ მათი გამოცდისას ხანძრის მიმართ მედეგობაზე;
- ქვეკლასი 1.5 - უკიდურესად დაბალი მგრძობელობის ნაკეთობები, რომელთაც არ აღენიშნებათ მასიური აფეთქების საშიშროება. აღნიშნული ნაკეთობები შეიცავს ძირითადად უკიდურესად არამგრძობიარე ნივთიერებებს და ავლენს აფეთქების ინიცირებისა თუ გავრცელების უმნიშვნელო ალბათობას.
- ქვეკლასი 1.6 -
- კლასი 2 - აირები;
- კლასი 3 - ადვილალეხადი სითხეები;
- კლასი 4.1 - ადვილალეხადი მყარი ნივთიერებები, თვითრეაქტიული ნივთიერებები და მყარი დესენსიბილიზებული ფეთქებადი ნივთიერებები;
- კლასი 4.2 - თვითაალების გამომწვევი ნივთიერებები;
- კლასი 4.3 - ნივთიერებები, რომლებიც წყალთან შეხებისას გამოყოფენ ადვილალეხად აირებს;
- კლასი 5.1 - მჟანგავი ნივთიერებები;
- კლასი 5.2 - ორგანული პეროქსიდები;
- კლასი 6.1 - ტოქსიკური ნივთიერებები;
- კლასი 6.2 - ინფექციური ნივთიერებები;
- კლასი 7 - რადიოაქტიური მასალები;
- კლასი 8 - კოროზიული ნივთიერებები;
- კლასი 9 - სხვა სახიფათო ნივთიერებები და ნაკეთობები.



2. სახიფათო ტვირთი აღინიშნება გაეროს მიერ მინიჭებული ოთხციფრა კოდით, „სახიფათო ტვირთების გადაზიდვის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტიპური წესების შესაბამისად (ST/SG/AC.10/1/Rev.18 (vol.1)).

მუხლი 6. სახიფათო ტვირთების დამუშავება, დატვირთვა (გადმოტვირთვა) და განთავსება

1. სახიფათო ტვირთების სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვა (გადმოტვირთვა), განთავსება და დამაგრება ხორციელდება ტვირთგამზავნის/ტვირთმიმღების მიერ (თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული გადაზიდვის ხელშეკრულებით). ხოლო გარკვეულ კლასებსა თუ განსაზღვრულ ტვირთებთან დაკავშირებით დამატებითი დებულებები განისაზღვრება ADR-ის 7.5.11. პუნქტით.

2. დატვირთვის ან გადმოტვირთვის ადგილზე, მათ შორის კონტეინერის ტერმინალში მისვლისას, სატრანსპორტო საშუალება და მისი მძღოლი, ასევე კონტეინერი, მტსტკ, მრავალელებმენტიანი აირის კონტეინერი, კონტეინერ-ცისტერნა ან გადასატანი ცისტერნა, ასეთების არსებობისას, უნდა აკმაყოფილებდეს ამ რეგლამენტით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (განსაკუთრებით საექსპლუატაციო უსაფრთხოების, საერთო უსაფრთხოების, სისუფთავის და დატვირთვის და გადმოტვირთვის დროს გამოყენებული აღჭურვილობის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით).

3. დატვირთვა არ უნდა განხორციელდეს, თუ დოკუმენტების შემოწმების შედეგად სატრანსპორტო საშუალების ან კონტეინერის, მასიური ტვირთის კონტეინერის, მრავალელებმენტიანი აირის კონტეინერის, კონტეინერ-ცისტერნის ან გადასატანი ცისტერნის, ასევე, დატვირთვის და გადმოტვირთვის დროს გამოყენებული აღჭურვილობის დათვალიერების შედეგებით დასტურდება მათი შეუსაბამობა ამ რეგლამენტით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

4. ერთსა და იმავე გარე ტარაში თუ მსხვილგაბარიტიან ტარაში დაუშვებელია სახიფათო ტვირთების მოთავსება სახიფათო ან სხვა ტვირთთან ერთად იმ შემთხვევაში, თუ მათ შეუძლიათ შევიდნენ ერთმანეთთან სახიფათო რეაქციაში და გამოიწვიონ:

ა) წვა ან სითბოს მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოყოფა;

ბ) ადვილალეზადი, მხუთავი, მჟანგავი ან ტოქსიკური აირების გამოყოფა;

გ) კოროზიული ნივთიერებების წარმოქმნა;

დ) არამედეგი ნივთიერებების წარმოქმნა.

5. დატვირთვის დაწყებამდე ტვირთგამზავნის მიერ სახიფათო ტვირთი უნდა იყოს კლასიფიცირებული და მიკუთვნებული საშიშროების ერთ-ერთ კლასს (ქვეკლასს), ხოლო ფეთქებადი ნივთიერებებისათვის დამატებით უნდა განისაზღვროს შეთავსებადობის ჯგუფები (დანართი №2). ასევე უნდა განხორციელდეს როგორც სატრანსპორტო საშუალების, ისე ტვირთის მარკირება.

6. დატვირთვაზე არ დაიშვება:

ა) ის ფეთქებადი ნივთიერებები, რომელთაც ახასიათებთ განსაკუთრებული მგრძნობელობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცემული „ცდებისა და კრიტერიუმების სახელმძღვანელოს“ I ნაწილის თანახმად ან იწვევენ თვითნებურ რეაქციებს, ასევე, ის ფეთქებადი ნივთიერებები და ნაკეთობები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ADR-ის 3.2 თავის A ცხრილში გათვალისწინებულ რომელიმე დასახელებას ან რომელიმე N.O.S. პოზიციას;

ბ) ამ რეგლამენტის დანართი №2-ით გათვალისწინებული „K“ შეთავსებადობის ჯგუფს მიკუთვნებული ნაკეთობები (1.2K, გაეროს №0200 და 1.3K, გაეროს №0021).

7. საშიშროების სხვადასხვა ნიშნების მქონე შეფუთვების დატვირთვა არ უნდა განხორციელდეს ერთად ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებაში ან კონტეინერში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ერთობლივი დატვირთვა დასაშვებია ამ რეგლამენტის №3 დანართში მოყვანილი ცხრილის შესაბამისად შეფუთვაზე მითითებული საშიშროების ნიშნების მიხედვით.



8. პირველი კლასის ნივთიერებების ან ნაკეთობების შემცველი შეფუთვები რეგლამენტის დანართი №8-ით გათვალისწინებული №1, 1.4, 1.5 ან 1.6 ნიმუშის საშიშროების ნიშნით, რომლებიც მიეკუთვნება შეთავსებადობის სხვადასხვა ჯგუფებს, შეიძლება დაიტვირთოს ერთად ერთ სატრანსპორტო საშუალებაში ან ერთ კონტეინერში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი დატვირთვა დასაშვებია ამ რეგლამენტის №4 დანართში მოყვანილი ცხრილის თანახმად შეთავსებადობის შესაბამისი ჯგუფებისთვის.

9. შეფუთვა, ასევე გაუსუფთავებელი ცარიელი ტარა, მათ შორის მსხვილგაბარიტიანი ტარა და მტსტკ, №6.1 ან №6.2 ნიმუშების საშიშროების ნიშნებით, და მათგან ისინი, რომლებსაც აქვთ ამ რეგლამენტის დანართი №8-ით გათვალისწინებული №9 ნიმუშის საშიშროების ნიშანი და შეიცავს ტვირთებს გაეროს №2212, №2315, №2590, №3151, №3152 ან №3245, არ უნდა იყოს განთავსებული სატრანსპორტო საშუალებებში, კონტეინერებში და დატვირთვისა და გადმოტვირთვის ადგილებში იმ შეფუთვებთან ახლოს, რომელთა შესახებ ცნობილია, რომ მათში მოთავსებულია კვების პროდუქტები, სხვა მოხმარების საგნები და ცხოველების საკვები.

10. აუცილებლობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება ან კონტეინერი უნდა იყოს აღჭურვილი შესაბამისი მოწყობილობებით, რათა გაადვილდეს სახიფათო ტვირთების დამაგრება და დამუშავება. სახიფათო ნივთიერებების შემცველი შეფუთვები და დაუფასოებელი სახიფათო ნაკეთობები უნდა იყოს დამაგრებული შესაბამისი საშუალებებით, რომლებსაც შეუძლია ტვირთის შეკავება (როგორცაა სამაგრი ღვედები, გადასატანი კადონები, გამოსაღები კრონშტეინები) სატრანსპორტო საშუალებებში ან კონტეინერში ისე, რომ გადაზიდვის დროს არ მოხდეს რაიმე გადაადგილება, რაც შეცვლის შეფუთვების მდგომარეობას ან გამოიწვევს მათ დაზიანებას. თუ გამოიყენება ისეთი სამაგრი ხელსაწყოები, როგორცაა საბანდაჟე ლენტი ან ღვედი, არ შეიძლება მათი მჭიდროდ მოჭერა იმისათვის, რომ არ მოხდეს შეფუთვის დაზიანება ან დეფორმირება.

11. თუ სახიფათო ტვირთის შემცველი სატრანსპორტო საშუალების ან კონტეინერის გადმოტვირთვის შემდეგ აღმოჩენილია შიგთავსის ნაწილის გაჟონვა, დაღვრა ან დაყრა, აუცილებელია რაც შეიძლება სწრაფად და ნებისმიერ შემთხვევაში ახალ დატვირთვამდე, განხორციელდეს სატრანსპორტო საშუალების ან კონტეინერის დასუფთავება.

12. თუ ადგილზე დასუფთავების განხორციელება შეუძლებელია, სატრანსპორტო საშუალება, ან კონტეინერი, ამ რეგლამენტით გათვალისწინებული სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების პირობების დაცვით გადატანილ უნდა იქნეს უახლოეს ადგილას, სადაც შეიძლება გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება.

13. სატრანსპორტო საშუალებები ან კონტეინერები, რითიც განხორციელდა სახიფათო ტვირთების დაყრით გადაზიდვა, ახალი დატვირთვის წინ სათანადოდ უნდა დასუფთავდეს თუ ახალი ტვირთი არ წარმოადგენს იგივე სახიფათო ტვირთს, რასაც წინა ტვირთი.

14. სახიფათო ტვირთის დატვირთვა – გადმოტვირთვის ოპერაციები უნდა წარმოებდეს სპეციალურად მოწყობილ ადგილებზე, ავტოსატრანსპორტო საშუალების გამორთული ძრავით, უსაფრთხოების წესების დაცვით. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დაყენებული ამწე მექანიზმის მოძრაობაში მოყვანა ხორციელდება ძრავის მუშაობით.

15. კასრებით სახიფათო ტვირთის გადაადგილება, დატვირთვა-გადმოტვირთვა და დასაწყობება დასაშვებია მხოლოდ სპეციალური მოწყობილობების გამოყენებით.

16. სატრანსპორტო საშუალების დატვირთვა დასაშვებია მისი ტვირთამწეობის სრულ გამოყენებამდე, ხოლო განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის კი, იმ მოცულობით და წესით, რომელიც მოცემულია მისი დამამზადებლის სპეციალურ ინსტრუქციაში.

17. სახიფათო ნივთიერებებით ცისტერნის შევსებისას და დაცლის დროს, მიღებული უნდა იქნეს ზომები სატრანსპორტო საშუალების ელექტრული დამიწების უზრუნველყოფისათვის.

18. ლიპყინულის შემთხვევაში სახიფათო ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვის ტერიტორია დაფარული უნდა იქნეს ქვიშით.

19. როდესაც გათვალისწინებულია კლასის ნივთიერებების და ნაკეთობების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება დატვირთვის-გადმოტვირთვის ოპერაციების განხორციელების მიზნით, სადგომზე დაყენებულ სატრანსპორტო ერთეულებს შორის მანძილი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 მ-ს.



20. თუ დატვირთვის-გადმოტვირთვის ოპერაციები უნდა განხორციელდეს სანახაობითი, კულტურულ-საგანმანათლებლო, სასწავლო, სკოლამდელი და სამკურნალო დაწესებულებების ახლოს, სხვადასხვაგვარი ნივთიერებები და ნაკეთობები უნდა იყოს დაშორებული ერთმანეთისგან საშიშროების ნიშნების გათვალისწინებით.

21. მასიური ტვირთის დრეკადი კონტეინერის დატვირთვა (გადმოტვირთვა), განთავსება და დამაგრება ხორციელდება ADR-ის 7.5.7.6. პუნქტით გათვალისწინებული წესით.

22. აკრძალულია:

ა) უცხო პირთა ყოფნა სახიფათო ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილზე;

ბ) ფეთქებადი და ცეცხლსაშიში სახიფათო ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების შესრულება ჭექა-ქუხილის დროს;

გ) დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზმის გამოყენება, რომელმაც შეიძლება შექმნას ტარის დაზიანებისა და ტვირთის ჩამოვარდნის საფრთხე (ამწე სატრანსპორტო მოწყობილობები უნდა შეესაბამებოდეს „ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით განსაზღვრულ უსაფრთხოების მოთხოვნებს);

დ) დაზიანებული შეფუთვით სახიფათო ტვირთის დატვირთვა და მისი გადაზიდვა.

მუხლი 7. მარშრუტის შერჩევა და შეთანხმება

1. სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების მარშრუტის შემუშავება ხორციელდება გადამზიდველის მიერ.

2. ტრანსპორტირების მარშრუტი ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ

ა) მაქსიმალურად გამორიცხავდეს სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირებას:

ა.ა) მნიშვნელოვანი მსხვილი სამრეწველო ობიექტის ახლოს, დასვენების ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის, ბუნებრივი ნაკრძალების და სხვა განსაკუთრებით დასაცავ ტერიტორიებზე;

ა.ბ) მსხვილ დასახლებულ პუნქტში გადაზიდვის აუცილებლობის შემთხვევაში სანახაობითი, კულტურულ-საგანმანათლებლო, სასწავლო, სკოლამდელი და სამკურნალო დაწესებულებების ახლოს;

ბ) ითვალისწინებდეს სატრანსპორტო საშუალებების გაჩერებისა და საწვავით გასამართ ადგილებს.

3. სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის მარშრუტი უნდა იქნეს შეთანხმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შემდეგ შემთხვევებში:

ა) განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას;

ბ) სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას, რომელიც სრულდება რთულ საექსპლუატაციო პირობებში (მთიანი რელიეფი), რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში (ლიპყინულიანობა, თოვა და სხვა), არასაკმარისი ხილვადობის პირობებში (ნისლი და ა.შ.);

გ) სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას, რომელიც სრულდება სამზე მეტი სატრანსპორტო საშუალებით კოლონაში.

4. სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების მარშრუტის შეთანხმებისათვის გადამზიდველი ვალდებულია, გადაზიდვის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღისა, წარუდგინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება სახიფათო ტვირთის გადაზიდვის მარშრუტის შეთანხმების შესახებ;



ბ) სახიფათო ტვირთის გადაზიდვისათვის შემუშავებული მარშრუტი ოთხ ეგზემპლარად (დანართი № 5);

გ) განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობის ასლი;

დ) სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) სატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დადებითი შედეგის დამადასტურებელი დოკუმენტის (ინსპექტირების ანგარიშის) ასლი;

ვ) განსაკუთრებით სახიფათო ტვირთისათვის, ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) მიერ დამატებით წარმოდგენილი მწარმოებლის სპეციალური ინსტრუქცია სახიფათო ტვირთის გადაზიდვაზე;

ზ) სახიფათო ნივთიერებებისა ან ნაკეთობების გადაზიდვის შემთხვევაში, რომლის ტრანსპორტირება მოითხოვს დამატებით შეთანხმებას ან ნებართვას სხვა კომპეტენტური ორგანოებისგან, ამ შეთანხმებისა ან ნებართვის ასლი.

5. შეთანხმებული მარშრუტის ერთი ეგზემპლარი ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, მეორე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, მესამე – გადამზიდველთან, ხოლო მეოთხე – მძღოლთან.

მუხლი 8. სახიფათო ტვირთების გადაზიდვა

1. სატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვა შესაძლებელია განხორციელდეს ტვირთგამგზავნისა და გადამზიდველს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

2. ტვირთგამგზავნი უზრუნველყოფს გადამზიდველს ამ რეგლამენტის №6 დანართით გათვალისწინებული წერილობითი ფორმის ინსტრუქციებით საგანგებო სიტუაციის შემთხვევისათვის, რომელიც შეიძლება შეიქმნას სახიფათო ტვირთების გადაზიდვის დროს ავარიის შედეგად. ტვირთგამგზავნი პასუხისმგებელია წერილობითი ინსტრუქციების შინაარსზე და სახიფათო ტვირთების მახასიათებლებთან მათ შესაბამისობაზე.

3. რეისის დაწყებამდე სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟის წევრებმა გადამზიდველისაგან უნდა მიიღონ ინფორმაცია დატვირთული სახიფათო ტვირთის შესახებ და გაეცნონ ამ რეგლამენტის დანართი №6-ით გათვალისწინებულ წერილობით ინსტრუქციებს, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას საჭირო ღონისძიებების შესახებ ავარიისა და საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში.

4. განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება სახიფათო ნივთიერების მწარმოებლის სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად.

5. წერილობითი ინსტრუქციები გადამზიდველმა რეისის დაწყებამდე უნდა გადასცეს სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟს იმ ენაზე(ებზე), რომელზეც(ებზეც) ეკიპაჟის თითოეულ წევრს შეუძლია წაიკითხოს და აღიქვას წარმოდგენილი ინფორმაცია. გადამზიდავმა უნდა უზრუნველყოს ეკიპაჟის თითოეული წევრის მიერ წერილობითი ინსტრუქციების მართებულად გაგება და მათი შესრულება.

6. ტვირთგამგზავნმა სატრანსპორტო დოკუმენტებში უნდა მიუთითოს ის ქმედებები (საჭიროების შემთხვევაში), რომლებიც გადამზიდავმა უნდა შეასრულოს. აღნიშნული მითითებები უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ა) დამატებით მოთხოვნებს შეფუთვის, სატრანსპორტო პაკეტის ან კონტეინერის დატვირთვის, შენახვის, ჩაწობის, გადაზიდვის, დამუშავებისა და გადმოტვირთვისთან, მათ შორის სითბოს უსაფრთხოდ არინების უზრუნველყოფის სპეციალურ მიწერილობებთან დაკავშირებით, ან შეტყობინებას იმის შესახებ, რომ მსგავსი მოთხოვნები არ არის გათვალისწინებული;

ბ) სატრანსპორტო საშუალების სახეობასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს და მარშრუტთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის საჭირო ინსტრუქციებს;

გ) ავარიის შემთხვევაში მოცემულ ტვირთთან დაკავშირებით შესაბამის ღონისძიებებს.



7. ნებისმიერმა საწარმომ, რომლის საქმიანობა მოიცავს სახიფათო ტვირთების საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვებს ან აღნიშნულთან დაკავშირებულ შეფუთვის, დატვირთვის, შევსების თუ გადმოტვირთვის ოპერაციებს, უნდა დანიშნოს ერთი ან რამდენიმე გადაზიდვის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი-კონსულტანტი სახიფათო ტვირთების გადაზიდვების უსაფრთხოების საკითხებში, რომელთა ერთ-ერთი ფუნქცია იქნება სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით, პირების, ქონებისა თუ გარემოს მიმართ ზიანის მიყენების პრევენცია.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნები არ გამოიყენება იმ საწარმოებზე:

ა) რომელთა საქმიანობა მოიცავს სახიფათო ტვირთების გადაზიდვას უფრო მცირე რაოდენობებით ყოველ სატრანსპორტო ერთეულში, ვიდრე ეს მითითებულია ამ რეგლამენტის მე-4 მუხლის „დ“ და „ვ“ პუნქტებში; ან

ბ) რომელთა ძირითადი ან დამატებითი საქმიანობა არ ითვალისწინებს ტვირთების გადაზიდვას ან აღნიშნულთან დაკავშირებულ დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებს, თუმცა რომელიც პერიოდულად ახორციელებს სახიფათო ტვირთების შიდა გადაზიდვებსა და მასთან დაკავშირებული დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებს, რასაც თან ახლავს დაბინძურების უმნიშვნელო საშიშროება ან რისკი.

9. სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას, სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა (კონკრეტული საგზაო პირობების გათვალისწინებით) ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გადაზიდვის მარშრუტის შეთანხმების დროს.

10. მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვის შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალებაზე უნდა დამონტაჟდეს შეზღუდვის აღმნიშვნელი ნიშანი.

11. სახიფათო ტვირთის გადაზიდვის დროს დაუშვებელია:

ა) აირზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენება;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ერთზე მეტი მისაბმელის ან ნახევარმისაბმელის ჩაბმა.

12. განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვა დასაშვებია მხოლოდ:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული მოძრაობის მარშრუტით;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისთვის – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის ტვირთის გადაზიდვის თარიღის (თვე და რიცხვი) შესახებ წერილობითი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის (სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე) ჯგუფის, სპეციალური აღჭურვილობისა (ხმამალა მოლაპარაკე, სანათი და ხმოვანი სიგნალები) და სპეციალური შეფერილობის ავტოსატრანსპორტო საშუალების თანხლებით.

13. სახიფათო ტვირთის კოლონით გადაზიდვისას დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) 1-ლი კლასის ნივთიერებების და ნაკეთობების გადამზიდველ სატრანსპორტო საშუალებების ავტოკოლონის შემადგენლობაში მოძრაობისას ერთმანეთის შემდეგ მიმავალი სატრანსპორტო ერთეულებს შორის უნდა იყოს შენარჩუნებული მანძილი არანაკლებ 50 მ, ხოლო გზის მნიშვნელოვანი ქანობის (აღმართი, დაღმართი) შემთხვევაში არანაკლებ 300 მეტრს;

ბ) 300 მეტრზე ნაკლები ხილვადობის პირობებში (ნისლი, თოვლი, წვიმა და ა.შ.) შეიძლება აიკრძალოს ზოგიერთი სახიფათო ტვირთის გადაზიდვა, რომლის შესახებ მითითებული უნდა იქნეს გადაზიდვის შესაბამის ინსტრუქციაში;



გ) ამ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე დანიშნული გადაზიდვის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია იმყოფებოდეს პირველი ავტოსატრანსპორტო საშუალების კაბინაში, ხოლო კოლონის ბოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებაში უნდა იმყოფებოდეს დაცვის ერთ-ერთი წარმომადგენელი (დაცვის საჭიროების შემთხვევაში);

დ) განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის დროს, ხუთი და მეტი სატრანსპორტო საშუალებისაგან შედგენილი კოლონის შემადგენლობაში უნდა იყოს ტვირთის გარეშე სარეზერვო სატრანსპორტო საშუალება, რომელიც უნდა მოძრაობდეს კოლონის ბოლოს.

14. დასახლებულ პუნქტებში განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის დროს დგომა დასაშვებია მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილში, რომელიც დაშორებული უნდა იქნეს არანაკლებ 200 მეტრით საცხოვრებელი ან/და ხალხის თავშეყრის ადგილებიდან.

15. სადგომზე მყოფი ყოველი სატრანსპორტო საშუალება დატვირთული სახიფათო ტვირთით უნდა იდგეს სადგომ მუხრუჭებზე. ასევე, მათი მისაბმელები, რომლებიც არ არის აღჭურვილი სამუხრუჭო სისტემით, უნდა იყოს შეკავებული არამოდრავ მდგომარეობაში სულ მცირე ერთი დაგორების საწინააღმდეგო საბჯენის გამოყენებით.

16. სატრანსპორტო ერთეულის შემთხვევაში, რომელიც შედგება ავტოსატრანსპორტო საშუალებისგან და 3500 კგ-ზე მეტი მაქსიმალური მასის მქონე მისაბმელისგან და აღჭურვილია ანტიბლოკირების სამუხრუჭო სისტემით, მახუჭსირებელი სატრანსპორტო საშუალება და მისაბმელი უნდა იყოს მუდმივად შეერთებული გადაზიდვის დროს ამ რეგლამენტის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და მისაბმელებს შორის ელექტროშეერთებით.

17. საერთო სარგებლობის ავტოგასამართ სადგურებში ფეთქებადი და ცეცხლსაშიში ნივთიერებით დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალების საწვავ-საცხები მასალებით გამართვა უნდა განხორციელდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, რომელიც ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 25 მეტრის მანძილით.

18. სახიფათო ტვირთის გადაზიდვის დასრულებისას, ტარის გაწმენდის შემდეგ, სასაქონლო ზედნადებში ტვირთმიმღების მიერ კეთდება აღნიშვნა „ტარა გასუფთავებულია“ და მისი გადაზიდვა ხორციელდება როგორც არასახიფათო ტვირთისა, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

19. რეისის დამთავრების შემდეგ უნდა მოხდეს სატრანსპორტო საშუალებებზე მარკირების ნიშნების დემონტაჟი და სახიფათო ტვირთთან დაკავშირებული დოკუმენტების სათანადო წესით ტვირთმიმღებისათვის ჩაბარება.

20. კონკრეტული სახიფათო ტვირთების გვირაბში გადაზიდვის შეზღუდვები ეფუძნება ამ ტვირთებისთვის განსაზღვრული გვირაბში გავლის შეზღუდვის კოდს, რომელიც მითითებულია ADR-ის 3.2 თავის A ცხრილის მე-15 სვეტში.

21. როდესაც ერთი სატრანსპორტო ერთეული შეიცავს სახიფათო ტვირთებს, რომლებსაც მინიჭებული აქვს გვირაბებში გავლის შეზღუდვის სხვადასხვა კოდები, მთელ ტვირთს ენიჭება ამ კოდებიდან ყველაზე შემზღუდველი კოდი.

22. მომატებული საფრთხის ტვირთების ან რადიოაქტიური ნივთიერებების გადაზიდვისას გადამზიდველებმა, ტვირთგამგზავნებმა და გადაზიდვის სხვა მონაწილეებმა უნდა მიიღონ, სისრულეში მოიყვანონ და იმოქმედონ უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, რომელიც უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ საკითხებს:

ა) უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოვალეობების კონკრეტული განაწილება პირებზე, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია, კვალიფიკაცია და უფლებამოსილება;

ბ) შესაბამისი სახიფათო ტვირთებისა თუ სახიფათო ტვირთების ტიპების შესახებ ჩანაწერები;

გ) მიმდინარე ოპერაციების მიმოხილვა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება, მათ შორის სატრანსპორტო ოპერაციისთვის აუცილებელი ნებისმიერი გაჩერება, სახიფათო ტვირთების შენახვა სატრანსპორტო საშუალებაში, ცისტერნასა თუ კონტეინერში რეისამდე, რეისის განმავლობაში და მის შემდეგ და სახიფათო ტვირთების შუალედური, დროებითი დასაწყობება ტრანსპორტის სახეობების შეცვლის პროცესსა თუ სატრანსპორტო ერთეულებს შორის გადატვირთვის პროცესში, კონკრეტული სიტუაციიდან



გამომდინარე;

დ) იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლებიც მიღებული უნდა იქნეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად;

ე) დროული და ეფექტიანი პროცედურები საფრთხეების, უსაფრთხოების დარღვევებისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემთხვევების შესახებ ანგარიშგებისა და მათი აღმოჩენის ეფექტური და განახლებული პროცედურები;

ვ) უსაფრთხოების გეგმების შეფასებასა და გამოცდასთან დაკავშირებული მეთოდები და გეგმების პერიოდული შემოწმებისა და განახლების პროცედურები.

23. მომატებული საფრთხის ტვირთების ან რადიოაქტიური ნივთიერებების გადაზიდვისას უნდა მოხდეს იმ მოწყობილობების, დანადგარების ან დაცვის სისტემების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ სატრანსპორტო საშუალების ან/და მისი ტვირთის მოპარვის პრევენციას და მიღებული უნდა იქნეს სათანადო ზომები, რათა აღნიშნული მოწყობილობები, დანადგარები ან დაცვის სისტემები ყოველთვის იყოს გამართულ მდგომარეობაში. აღნიშნული ზომების მიღებამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას საავარიო სიტუაციის შექმნისას გადაუდებელი ღონისძიებების გამხორციელებას.

24. ბირთვული მასალებისა და რადიოაქტიურ ნივთიერებათა (მეშვიდე კლასი) გადაზიდვა უნდა განხორციელდეს „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ტექნიკური რეგლამენტის – ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 7 თებერვლის №72 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის, ამ რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით.

25. სახიფათო ნარჩენების გადაზიდვა უნდა განხორციელდეს „ტექნიკური რეგლამენტის – „ნარჩენების ტრანსპორტირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №143 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის, ამ რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით.

26. სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვა უნდა ხორციელდებოდეს „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ 1989 წლის 22 მარტის ბაზელის კონვენციის მოთხოვნებისა და პროცედურების გათვალისწინებით.

მუხლი 9. ეკიპაჟის წევრებისა და გადაზიდვის პროცესის სხვა მონაწილეთა უფლება-მოვალეობები

1. ტვირთგამგზავნი ვალდებულია:

ა) გადასცეს გადამზიდველს ტრანსპორტირებისათვის მხოლოდ ის სახიფათო ტვირთი, რომელიც დაშვებულია გადასაზიდად და აკმაყოფილებს ADR-ისა და ამ რეგლამენტის მოთხოვნებს;

ბ) სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების მომზადებისას შეამოწმოს ტარის (შეფუთვის) მთლიანობა და ვარგისობა, მარკირებისა და ლუქების არსებობა, აგრეთვე კონკრეტული სახეობის ტვირთის დატვირთვა/გადმოტვირთვისათვის საჭირო მოწყობილობებისა და ტექნიკური აღჭურვილობის შესაბამისობა ამ რეგლამენტით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან;

გ) გამოიყენოს მხოლოდ კონკრეტული სახეობის გადასაზიდი ტვირთისათვის დაშვებული და განკუთვნილი ტარა, კონტეინერები, ცისტერნები და სატრანსპორტო საშუალებები, რომლებსაც გააჩნიათ ADR-ის დებულებებში მითითებული მარკირება;

დ) დატვირთვისას მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, ტვირთზე სხვადასხვა უარყოფითი ზემოქმედების (დარტყმები, ბიძგები, ტარაზე გადამეტებული ზეწოლა და სხვა) თავიდან აცილების მიზნით, ასევე, გამოიყენოს ისეთი მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომლებიც არ წარმოშობენ ნაპერწკალს მუშაობისას;

ე) დაიცვას გაგზავნასთან დაკავშირებული მოთხოვნები და გაგზავნის შეზღუდვის პირობები;

ვ) უზრუნველყოს გადამზიდველი საჭირო ინფორმაციით (სახიფათო ტვირთის გაეროს ნომერი, კლასი (ქვეკლასი), შეთავსებადობის ჯგუფი, შეფუთვის ჯგუფი, საშიშროების ნიშნის ნომერი და სხვა), წერილობითი ინსტრუქციებით, სპეციალური ინსტრუქციებით (არსებობის შემთხვევაში) და სხვა საჭირო სატრანსპორტო



დოკუმენტებით;

ზ) უზრუნველყოს, გაუსუფთავებელი და არადეგაზირებული ცარიელი ცისტერნების (ავტოცისტერნები, სახსნელი ცისტერნები, სატრანსპორტო საშუალება-ბატარეები, მრავალეემენტური აირის კონტეინერები, გადასატანი ცისტერნები და კონტეინერ-ცისტერნები) ან ცარიელი გაუსუფთავებელი სატრანსპორტო საშუალებების და მასიური ტვირთის კონტეინერების სათანადოდ აღჭურვა საინფორმაციო დაფებით, მარკირებითა და საშიშროების ნიშნებით და განახორციელოს ცარიელი გაუსუფთავებელი ცისტერნების დახურვა ჰერმეტიკულად იმგვარად, როგორც სავსე მდგომარეობის შემთხვევაში.

2. გადამზიდველი ვალდებულია:

ა) დარწმუნდეს, რომ ტრანსპორტირებას დაქვემდებარებული სახიფათო ტვირთის გადაზიდვა დაშვებულია ADR-ის დებულებების შესაბამისად;

ბ) გადაზიდვის დაწყებამდე დარწმუნდეს, რომ ტვირთგამგზავნის მიერ წარმოდგენილი იქნა გადასაზიდ სახიფათო ტვირთებთან დაკავშირებით ADR-ში გათვალისწინებული ყოველგვარი ინფორმაცია, ინსტრუქციები და სხვა საჭირო სატრანსპორტო დოკუმენტები;

გ) ვიზუალური დათვალიერებით დარწმუნდეს, რომ სატრანსპორტო საშუალებებსა და გადასაზიდ ტვირთებს არ აღენიშნებათ რაიმე ხილული ხარვეზი, გაჟონვა, ბზარი და ისინი სათანადოდ არიან აღჭურვილი;

დ) დარწმუნდეს, რომ ავტოცისტერნების, სატრანსპორტო საშუალება-ბატარეების, სახსნელი ცისტერნების, გადასატანი ცისტერნების, კონტეინერ-ცისტერნებისა და მრავალეემენტური აირის კონტეინერების ინსპექტირების ვადა არ არის გადაცილებული;

ე) დარწმუნდეს, რომ სახიფათო ტვირთის გადამზიდველი სატრანსპორტო საშუალება არ არის გადატვირთული;

ვ) შეამოწმოს სატრანსპორტო საშუალებებზე და სახიფათო ტვირთზე საშიშროების ნიშნების, საინფორმაციო დაფების, ნარინჯისფერი ტაბლოებისა და მარკირების არსებობა და შესაბამისობა ADR-ის და ამ რეგლამენტის მოთხოვნებთან;

ზ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტში მოყვანილი პირობების ან/და ამ რეგლამენტის ან/და ADR-ის დებულებების სხვა მოთხოვნების დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, შეაჩეროს სახიფათო ტვირთის გაგზავნა მათ აღმოფხვრამდე;

თ) გადასცეს სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟს წერილობითი ინსტრუქციები და განსაკუთრებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვისათვის განკუთვნილი სპეციალური ინსტრუქციები (არსებობის შემთხვევაში);

ი) იმ შემთხვევაში, თუ გადაზიდვების განმავლობაში თავს იჩენს ისეთი დარღვევა, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას გადაზიდვის უსაფრთხოებას, შეაჩეროს შეძლებისდაგვარად სწრაფად ტვირთის გადაზიდვა მოძრაობის უსაფრთხოებასთან, ტვირთის დაცვის უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინებით. გადაზიდვის ოპერაცია შესაძლებელია გაგრძელდეს მხოლოდ ტვირთის მოქმედ წესებთან შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ;

3. ტვირთმომღები ვალდებულია:

ა) არ შეაჩეროს ტვირთების მიღება საპატიო მიზეზების გარეშე და გადმოტვირთვის შემდეგ შემოწმების შედეგად დარწმუნდეს, რომ მის მიერ სრულად იქნა შესრულებული ტვირთთან დაკავშირებული ADR-ის და ამ რეგლამენტის მოთხოვნები;

ბ) თუ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემოწმების შედეგად კონტეინერის მიმართ გამოვლინდება ADR-ის და ამ რეგლამენტის მოთხოვნების რაიმე დარღვევა, დაუბრუნოს კონტეინერი გადამზიდველს მხოლოდ აღნიშნული დარღვევის აღმოფხვრის შემდეგ;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ისარგებლებს გადაზიდვის სხვა მონაწილეების (განმტვირთველის, მწმენდავის, დეზაქტივაციის ობიექტისა და ა.შ.) მომსახურებით, მიიღოს შესაბამისი ზომები ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფისთვის;



დ) სახიფათო ტვირთის გადმოტვირთვის დასრულების შემდეგ, გაწმინდოს სატრანსპორტო საშუალების ძარა (კონტეინერი) ამ ტვირთის ნარჩენებისაგან და, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს დეგაზაცია, დეაქტივაცია და/ან დეზინფექცია;

ე) უზრუნველყოს კონტეინერებზე საშიშროების აღმნიშვნელი მარკირების მოშორება, მისი სრული გადმოტვირთვის, დასუფთავების, დეგაზაციის, დეაქტივაციის ან/და დეზინფექციის შემდეგ.

4. სატრანსპორტო საშუალების მძღოლი და ეკიპაჟის სხვა წევრები ვალდებული არიან:

ა) დაიცვან „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით, სახიფათო ტვირთის გადაზიდვებთან დაკავშირებული ტექნიკური რეგლამენტებით და საერთაშორისო ნორმებით, ADR-ის დებულებებით, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაციის, ამ რეგლამენტით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ბ) სახიფათო ტვირთის მიღებისას შეამოწმონ ტვირთსა და/ან ტარაზე მარკირების არსებობა;

გ) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ან/და საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, აღმოუჩინონ პირველადი სამედიცინო დახმარება დაზარალებულებს და იმოქმედონ ამ რეგლამენტის დანართი №6-ით გათვალისწინებული წერილობითი ინსტრუქციების და კონკრეტული სახის სახიფათო ტვირთის გადაზიდვაზე არსებული სპეციალური ინსტრუქციების შესაბამისად;

დ) საჭიროების შემთხვევაში მიიღონ ხანძარსაწინააღმდეგო ზომები;

ე) თან იქონიონ და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ ამ რეგლამენტის დანართი №6-ით განსაზღვრული ინსტრუქციით გათვალისწინებული აუცილებელი აღჭურვილობა;

ვ) მარშრუტზე მოძრაობისას აკონტროლონ სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა, ტვირთების დამაგრება/განთავსება, მარკირებისა და ლუქების დაცულობა.

5. სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას მძღოლს და ეკიპაჟის სხვა წევრებს ეკრძალებათ:

ა) საწვავით გამართვა ავტოგასამართ სადგურებში საერთო სარგებლობის სვეტებიდან (ფეთქებადი და ცეცხლსაშიში ნივთიერების გადაზიდვის შემთხვევაში);

ბ) სატრანსპორტო საშუალების გაჩერება/დგომა ცეცხლის კერისგან 200 მეტრით ნაკლებ მანძილზე;

გ) სატრანსპორტო საშუალების უმეთვალყურეოდ დატოვება;

დ) დატვირთვისა და გადმოტვირთვის ოპერაციების დროს FL ტიპის სატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული გათბობის მოწყობილობების გამოყენება;

ე) ფეთქებადი ნივთიერებებისა და ნაკეთობების გადამზიდველ სატრანსპორტო საშუალების მახლობლად ცეცხლის ან ღია ალის გამოყენება;

ვ) სატრანსპორტო საშუალებაში შესვლა ღია ალის მქონე სანათი ხელსაწყოთი. (გამოყენებულ გადასატან სანათ ხელსაწყოებს არ უნდა ჰქონდეთ ლითონის ზედაპირი, რომელსაც შეეძლება ნაპერწკლის წარმოშობა);

ზ) თამბაქოს მოწევა ავტოსატრანსპორტო საშუალების სალონში და მის სიახლოვეს. (მოწევა დასაშვებია გაჩერების დროს სადგომიდან არანაკლები 50 მეტრის დაშორებით). მოწევის აკრძალვა ასევე ვრცელდება ელექტრონული სიგარეტისა და მსგავსი მოწყობილობების გამოყენებისას;

თ) სატრანსპორტო დოკუმენტებით გაუთვალისწინებელი ტვირთების გადაზიდვა ან/და უცხო პირების გადაყვანა, რომლებიც არ არიან სატრანსპორტო ერთეულის ეკიპაჟის წევრები;

ი) სახიფათო ნივთიერებისა და ნაკეთობების შემცველი შეფუთვების გახსნა.

6. სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას მძღოლს აგრეთვე ეკრძალება:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალების მკვეთრი დაძვრა და დამუხრუჭება;



ბ) იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების გასწრება, რომელიც მოძრაობს 30 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით;

გ) გამორთული ძრავით ან/და გადაბმულობით მოძრაობა;

დ) შეთანხმებული მოძრაობის მარშრუტიდან გადახვევა და მარშრუტზე დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება.

7. სახიფათო ტვირთების გადაზიდვების უსაფრთხოების საკითხებში კონსულტანტის ვალდებულებები:

ა. კონსულტანტს აკისრია შემდეგი მოვალეობები:

ა.ა) სახიფათო ტვირთების გადაზიდვის მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი;

ა.ბ) საწარმოსათვის კონსულტაციების გაწევა სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით;

ა.გ) საწარმოს ხელმძღვანელობისათვის ყოველწლიური ანგარიშის მომზადება სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით საწარმოს საქმიანობის შესახებ. (აღნიშნული წლიური ანგარიშები ინახება ხუთი წლის განმავლობაში და წარედგინება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს მოთხოვნისთანავე);

ა.დ) საწარმოს სათანადო საქმიანობასთან დაკავშირებით მონიტორინგის განხორციელება შემდეგი ქმედებებსა და პროცედურებზე:

ა.დ.ა) გადასატანი სახიფათო ტვირთების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცედურები;

ა.დ.ბ) სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან, დატვირთვისა და გადმოტვირთვისასთან დაკავშირებით გამოსაყენებელი აღჭურვილობის შემოწმების პროცედურები;

ა.დ.გ) საწარმოს მუშაკების სათანადო მომზადება და აღნიშნული მომზადების შესახებ ჩანაწერების წარმოება;

ა.დ.დ) სათანადო, გადაუდებელი ღონისძიებების სისრულეში მოყვანა ნებისმიერი ავარიისა თუ ინციდენტის შემთხვევაში, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს უსაფრთხოებას სახიფათო ტვირთების გადაზიდვის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის დროს;

ა.დ.ე) სახიფათო ტვირთების გადაზიდვების, დატვირთვისა თუ გადმოტვირთვის დროს მძიმე ავარიების, ინციდენტებისა თუ მნიშვნელოვანი დარღვევების გამოძიება და, აუცილებლობის შემთხვევაში, ანგარიშების მომზადება;

ა.დ.ვ) სათანადო ზომების სისრულეში მოყვანა ავარიების, ინციდენტებისა თუ მნიშვნელოვანი დარღვევების განმეორების თავიდან აცილების მიზნით;

ა.დ.ზ) დოკუმენტაციისა და უსაფრთხოების აღჭურვილობის არსებობის უზრუნველსაყოფად შემოწმების პროცედურების განხორციელება გადასაზიდ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც თან უნდა ახლდეს სატრანსპორტო საშუალებას, ასევე, აღნიშნული დოკუმენტებისა და აღჭურვილობის შესაბამისობის უზრუნველყოფა მოქმედ წესებთან.

ბ) კონსულტანტს უნდა გააჩნდეს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ გაცემული პროფესიული მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტი „საავტომობილო, სარკინიგზო და შიდა წყლის ტრანსპორტით სახიფათო ტვირთების გადაზიდვებისას უსაფრთხოების საკითხებში კონსულტანტების დანიშვნისა და პროფესიული კვალიფიკაციის შესახებ“ ევროსაბჭოს 1996 წლის 3 ივნისის №96/35/ EC დირექტივის და „საავტომობილო, სარკინიგზო და შიდა წყლის ტრანსპორტით სახიფათო ტვირთების გადაზიდვებისას უსაფრთხოების საკითხებში კონსულტანტების გამოცდების მინიმალური მოთხოვნების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 17 აპრილის №2000/18 EC დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 10. სატრანსპორტო ერთეულებსა და მათ აღჭურვილობასთან დაკავშირებული საერთო მოთხოვნები

1. სატრანსპორტო ერთეული, რომლითაც ხორციელდება სახიფათო ტვირთების გადაზიდვა, უნდა შეესაბამებოდეს მწარმოებლის დოკუმენტებს, ADR-ის დებულებებს, „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს



მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №32 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკური რეგლამენტს, ამ რეგლამენტს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სახიფათო ტვირთების გადაზიდვისას სატრანსპორტო ერთეულზე უნდა იყოს წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტები:

ა) ADR-ის 5.4.1 კარით გათვალისწინებული სატრანსპორტო დოკუმენტები ყველა გადასაზიდ სახიფათო ტვირთზე, რომელიც უნდა შეიცავდეს გაეროს ნომერს, გასაგზავნ დასახელებას (მათ შორის საბაზროს), ამ რეგლამენტის №8 დანართით გათვალისწინებულ საშიშროების ნიშნის ნომერს (მათ შორის დამატებითი ნიშნის ჩათვლით), ამ რეგლამენტის დანართი №1-ით გათვალისწინებული შეფუთვის ჯგუფს და ADR-ით გათვალისწინებული გვირაბში გავლის კოდს.

ბ) ეკიპაჟის წევრებისათვის განკუთვნილი წერილობითი ინსტრუქციები ამ რეგლამენტის №6 დანართში მოყვანილი ფორმით და სპეციალური ინსტრუქციები კონკრეტული სახეობის სახიფათო ტვირთებისათვის (არსებობის შემთხვევაში);

გ) სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟის ყველა წევრის პირადობის მოწმობა ფოტოსურათით;

დ) განსაზღვრული სახიფათო ტვირთების გადაზიდვისას, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ ქართულ და ინგლისურ ენებზე, ამ რეგლამენტის მე-13 მუხლით გათვალისწინებული წესით გაცემული განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე დაშვების მოწმობა ყოველ სატრანსპორტო ერთეულზე. მოწმობა მზადდება სტანდარტულ A4 ფორმატის თეთრი ფერის ქაღალდზე, დიაგონალზე ვარდისფერი ზოლით ამ რეგლამენტის №7 დანართში მოყვანილი ნიმუშის მიხედვით. ასეთი დოკუმენტის არქონის შემთხვევაში, საერთაშორისო გადაზიდვების განხორციელებისას - ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით ან/და ADR-ით განსაზღვრულ მონაცემებს;

ე) ADR-ის მოწმობა მძღოლის სპეციალური მომზადების შესახებ, ხოლო ასეთი დოკუმენტის არქონის შემთხვევაში – ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი წესებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ADR-ის მოწმობისთვის განსაზღვრულ მონაცემებს;

ვ) შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა, ან ლიცენზიის/ნებართვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული დოკუმენტი, ან უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული, შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით და მინიჭებული აქვს ისეთივე სამართლებრივი სტატუსი, როგორც აქვს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გაცემულ ლიცენზიას/ნებართვას;

ზ) სატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დადებითი შედეგის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინსპექტირების ანგარიში);

თ) მარშრუტის სქემა ამ რეგლამენტის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ი) ავტოსატრანსპორტო საშუალების სერვისის წიგნაკი, „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის № 12 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად ან უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ანალოგიური დოკუმენტი;

კ) სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას:

კ.ა) სახიფათო ნარჩენების საინფორმაციო ფურცელი და სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმა, „ სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის № 145 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის I და II დანართებში მოყვანილი ფორმების მიხედვით;

კ.ბ) „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური



რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ან სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტით განსაზღვრულ გადაზიდვისას, ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები.

3. განსაზღვრული სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვისას, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი ამოწმებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი წესებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

4. სახიფათო ტვირთების გადაზიდვისას კონტეინერების, მრავალელებმენტიანი აირის კონტეინერების, MEMU-ს კონტეინერ-ცისტერნების, გადასატანი ცისტერნებისა და სატრანსპორტო საშუალებების გარე ზედაპირზე უნდა განთავსდეს სახიფათო ტვირთების საშიშროების ნიშნების (დანართი №8) ამსახველი საინფორმაციო დაფები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს ADR-ის 5.3.1.7 პუნქტის ტექნიკურ მოთხოვნებს.

5. საინფორმაციო დაფების განთავსება:

ა) კონტეინერებზე, მრავალელებმენტიანი აირის კონტეინერებზე, კონტეინერ-ცისტერნებსა ან გადასატანი ცისტერნებზე საინფორმაციო დაფები განთავსებული უნდა იყოს ორივე გვერდზე და უკანა მხარეს. იმ შემთხვევაში, თუ კონტეინერ-ცისტერნას ან გადასატანი ცისტერნას რამდენიმე ნაკვეთური აქვს და მათი საშუალებით ხდება ორი ან მეტი სახიფათო ტვირთის გადაზიდვა, შესაბამისი საინფორმაციო დაფები უნდა განთავსდეს ორივე გვერდზე შესაბამისი ნაკვეთურის გასწვრივ, ხოლო თითოეული ტვირთის ერთი საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს კონტეინერ-ცისტერნის ან გადასატანი ცისტერნის უკანა მხარეს;

ბ) თუ კონტეინერებზე, მრავალელებმენტიანი აირის კონტეინერებზე, კონტეინერ-ცისტერნებზე ან გადასატანი ცისტერნებზე დამაგრებული საინფორმაციო დაფები არ ჩანს მათი გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების გარედან, იგივე საინფორმაციო დაფები უნდა განთავსდეს სატრანსპორტო საშუალების ორივე გვერდზე და უკანა მხარეს. სხვა შემთხვევაში საინფორმაციო დაფის დამაგრება სატრანსპორტო საშუალებაზე საჭირო არაა;

გ) ნაყარი ტვირთის გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებებზე, ავტოცისტერნებზე, სატრანსპორტო საშუალება-ბატარეებზე, MEMU-ებსა და სახსნელი ცისტერნების მქონე სატრანსპორტო საშუალებებზე, საინფორმაციო დაფები განთავსებული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების ორივე გვერდზე და უკანა მხარეს;

დ) 1-ლი კლასის ნივთიერებების ან ნაკეთობების (1.4 ქვეკლასის, S ჯგუფის შეთავსებადობის ნივთიერებების გარდა) და მე-7 კლასის რადიოაქტიური მასალების შემცველი შეფუთვების გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებებზე საინფორმაციო დაფები უნდა განთავსდეს სატრანსპორტო საშუალების ორივე გვერდზე და უკანა მხარეს;

ე) ცარიელ ავტოცისტერნებზე, სახსნელი ცისტერნების მქონე სატრანსპორტო საშუალებებზე, სატრანსპორტო საშუალება-ბატარეაზე, მრავალელებმენტიანი აირის კონტეინერებზე, MEMU-ებზე, კონტეინერ-ცისტერნებსა და გადასატანი ცისტერნებზე, რომლებსაც არ გაუვლიათ დასუფთავება და დეგაზაცია, ასევე, გაუსუფთავებელ, ცარიელ სატრანსპორტო საშუალებებსა და ნაყარი ტვირთის გადამზიდი კონტეინერებზე უნდა დარჩეს წინა გადაზიდული ტვირთის საინფორმაციო დაფები.

6. სახიფათო ტვირთების გადამზიდი სატრანსპორტო ერთეულებს ასევე უნდა ჰქონდეს ორი ვერტიკალურად დამაგრებული სწორკუთხედის ფორმის ნარინჯისფერი ტაბლო (დანართი №9). ერთი მათგანი უნდა დამაგრდეს სატრანსპორტო ერთეულის წინა მხარეს, ხოლო მეორე – უკან და ორივე ტაბლო უნდა იყოს სატრანსპორტო ერთეულის სიგრძივი ღერძის პერპენდიკულარული. სახიფათო ტვირთის გადაზიდვის დროს ნარინჯისფერი ტაბლოებით მარკირებამ უნდა უზრუნველყოს ტვირთის იდენტიფიკაციის ჩატარების საშუალება, აღნიშნული ტაბლოები უნდა იყოს გარკვევით ხილვადი და აკმაყოფილებდეს ADR-ის 5.3.2.2 პუნქტით დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს.

7. თითოეული სატრანსპორტო ერთეული უნდა იყოს აღჭურვილი 2 ან/და 4 ან/და 6 ან/და 8 ან/და 12-ე კილოგრამიანი ცეცხლსაქრობ(ებ)ით, რომლებსაც უნდა ჰქონდეს აღნიშვნები გავლილი შემოწმების შესახებ. ცეცხლსაქრობები უნდა დამაგრდეს სატრანსპორტო ერთეულებზე ისე, რომ სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟისათვის ნებისმიერ დროს იყოს ხელმისაწვდომი, ასევე, დაცული იყოს კლიმატური პირობების ზეგავლენისაგან მათი საექსპლუატაციო საიმედოობის შემცირების თავიდან აცილების მიზნით.



8. სატრანსპორტო ერთეულებზე, რომლებიც გადაიზიდება სახიფათო ტვირთები ADR-ის 1.1.3.6 პუნქტის შესაბამისად (ერთი სატრანსპორტო ერთეულით გადატანილ ოდენობებთან დაკავშირებული გამონაკლისების სახით), უნდა იყოს ერთი გადასატანი ცეცხლსაქრობი 2 კგ. მშრალი ფხვნილის მინიმალური ტევადობით (ან სხვა ნებისმიერი შესაფერისი ხანძრის ჩასაქრობი შემადგენლობის ეკვივალენტური რაოდენობა), სხვა შემთხვევაში ცეცხლსაქრობების რაოდენობა და მშრალი ფხვნილის მინიმალური ტევადობა განისაზღვრება ADR-ის 8.1.4.1 პუნქტში მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

9. სახიფათო ტვირთების გადამზიდველ თითოეულ სატრანსპორტო ერთეულზე უნდა გადაიზიდებოდეს ზოგადი და ინდივიდუალური დაცვის შემდეგი საშუალებები და მოწყობილობები:

ა) თითოეულ სატრანსპორტო საშუალებისათვის დაგორების საწინააღმდეგო საბჯენი, რომლის ზომები უნდა შეესაბამებოდეს სატრანსპორტო საშუალების მაქსიმალურ მასას და თვლის დიამეტრს;

ბ) ხისტი ბუქსირი, ხოლო ზამთრის პერიოდში მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები;

გ) ორი მაფრთხილებელი ნიშანი საკუთარ საყრდენზე;

დ) ხელსაწყო-ინსტრუმენტები, სატრანსპორტო საშუალების ავარიული რემონტისათვის;

ე) სამედიცინო სააფთიაქო ყუთი;

ვ) თვლების გამოსარეცხი სითხე (სავალდებულო არ არის ამ რეგლამენტის დანართი №8-ით გათვალისწინებული №1, 1.4, 1.5, 1.6, 2.1, 2.2 და 2.3 საშიშროების ნიშნის მქონე სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას);

ზ) სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟის თითოეული წევრისათვის:

ზ.ა) ამრეკლი ჟილეტი (მაგ. EN 471:2003 + A1:2007 სტანდარტში აღწერილი ჟილეტი) ეკიპაჟის ყოველი წევრისათვის;

ზ.ბ) გადასატანი სანათი ხელსაწყო;

ზ.გ) დამცავი ხელთათმანების წყვილი;

ზ.დ) თვლების დამცავი საშუალება (მაგ. დამცავი სათვალეები).

თ) ზოგიერთი კლასებისათვის საჭირო დამატებითი აღჭურვილობა:

თ.ა) ამ რეგლამენტის დანართი №8-ით გათვალისწინებული №2.3 ან №6.1 საშიშროების ნიშნების შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებიდან ავარიულად გამოსვლისათვის საჭირო ნიღაბი სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟის თითოეული წევრისათვის;

თ.ბ) ნიჩაბი (სავალდებულოა მხოლოდ ამ რეგლამენტის დანართი №8-ით გათვალისწინებული №3, 4.1, 4.3, 8 და 9 საშიშროების ნიშნების მქონე მყარი ნივთიერებისა და სითხეებისათვის);

თ.გ) სადრენაჟო დამჭერი;

თ.დ) შესაგროვებელი კონტეინერი.

მუხლი 11. სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟის მომზადებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლებს უნდა ჰქონდეთ კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ მათ გაიარეს მოსამზადებელი კურსი და ჩააბარეს სპეციალური მოთხოვნების ცოდნის გამოცდა, რომლებიც უნდა იქნეს შესრულებული სახიფათო ტვირთების გადაზიდვისას. მომზადება ტარდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საბაზო კურსის და მომზადების სპეციალიზებული კურსების სახით.

2. შესაბამისი სწავლების კურსის დასრულებისა და გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მძღოლზე სააგენტოს მიერ გაიცემა ADR-ის მოწმობა მძღოლის მომზადების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესითა და ფორმით.



3. პირები, რომელთა მოვალეობები უკავშირდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვას, ვალდებულნი არიან თავისი მოვალეობებისა და ფუნქციების შესაბამისად გაიარონ მომზადება ამგვარი ტვირთების გადაზიდვის მარეგულირებელ მოთხოვნათა სფეროში. ეს მოთხოვნა ეხება გადამზიდველის (საწარმოს) ან ტვირთგამგზავნის მიერ დაქირავებულ პირებს, სახიფათო ტვირთების დატვირთვის ან გადმოტვირთვის განმახორციელებელ მუშებს, სატრანსპორტო-საექსპედიტორო და სატვირთო სააგენტოების თანამშრომლებს, ასევე სახიფათო ტვირთების საავტომობილო გადაზიდვაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებს, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოწმობის მქონე მძღოლებისა.

მუხლი 12. მოთხოვნები სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციის მიმართ განსაზღვრული სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე დაშვებისათვის

1. სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე დაშვების მიზნით, სატრანსპორტო საშუალების ელექტრომოწყობილობა უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ზოგადი დებულებები:

ა.ა) ელექტრომოწყობილობა უნდა იყოს კონსტრუირებული, დამზადებული და დაცული ისე, რომ მასში არ წარმოიქმნას გაუთვალისწინებელი აალება ან მოკლე ჩართვა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის ნორმალურ პირობებში;

ა.ბ) მთლიანად ელექტრომოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს ამ პუნქტის „ბ-ი“ ქვეპუნქტების დებულებებს ამ რეგლამენტის №10 დანართში მითითებული ცხრილის შესაბამისად.

ბ) ელექტროგაყვანილობა:

ბ.ა) სადენები:

ბ.ა.ა) სადენებში გამავალი დენის ძალა არ უნდა აღემატებოდეს სადენისათვის გათვალისწინებულ დენის მაქსიმალურ ძალას. სადენები სათანადოდ უნდა იყოს იზოლირებული;

ბ.ა.ბ) სატრანსპორტო საშუალებებში გამოყენებისას, სადენებმა უნდა გაუძღონ ტემპერატურული დიაპაზონისა და წყალმედვეობის პირობებს ISO 16750-4:2010 და ISO 16750-5:2010 სტანდარტების შესაბამისად;

ბ.ა.გ) სადენები უნდა შეესაბამებოდეს ISO 6722-1:2011 + Cor 01:2012 ან ISO 6722-2:2013 სტანდარტების მოთხოვნებს;

ბ.ა.დ) სადენები უნდა იქნეს საიმედოდ დამაგრებული და დაცული მექანიკური და თერმული ზემოქმედებისგან.

ბ.ბ) დამატებითი დაცვა:

ბ.ბ.ა) მძღოლის კაბინის უკან და მისაბმელებზე განთავსებული სადენები დამატებით უნდა იყოს დაცული იმისათვის, რომ დარტყმისა ან დეფორმაციის შემთხვევაში არ წარმოიქმნას გაუთვალისწინებელი აალება ან მოკლე ჩართვა და ეს საშიშროება დაყვანილ იქნეს მინიმუმამდე;

ბ.ბ.ბ) დამატებითი დაცვა უნდა იყოს გამოსადეგი სატრანსპორტო საშუალების ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში;

ბ.ბ.გ) დამატებითი დაცვა პასუხობს სათანადო მოთხოვნებს ISO 14572: 2011 სტანდარტის შესაბამისი მრავალძარღვიანი სადენების გამოყენების შემთხვევაში.

გ) დნობადი მცველები და ავტომატური ამომრთველები:

გ.ა) ყველა ელექტრული წრედი უნდა იყოს დაცული დნობადი მცველებით ან ავტომატური ამომრთველებით, გარდა წრედების, რომლებიც აერთიანებენ:

გ.ა.ა) აკუმულატორთა ბატარეას ძრავას ცივი ამუშავების სისტემასთან;



გ.ა.ბ) აკუმულატორთა ბატარეას გენერატორთან;

გ.ა.გ) გენერატორს, დნობადი მცველების ან ამომრთველების ბლოკთან;

გ.ა.დ) აკუმულატორთა ბატარეას სტარტერთან;

გ.ა.ე) აკუმულატორთა ბატარეის ცვეთამედეგი სამუხრუჭო მექანიზმის ჩართვის სისტემის კორპუსთან, თუ ეს სისტემა ელექტრული ან ელექტრომაგნიტურია;

გ.ა.ვ) აკუმულატორთა ბატარეის ურიკას ბალანსირის დერძის ამწე ელექტრომექანიზმთან.

გ.ბ) ამ პუნქტის „გ.ა.ა“ – „გ.ა.ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაუცველი ელექტრული წრედები უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლე;

დ) აკუმულატორთა ბატარეა:

დ.ა) აკუმულატორთა ბატარეას კლემები უნდა იყოს ელექტროიზოლირებული ან დახურული საიზოლაციო ხუფით;

დ.ბ) აკუმულატორთა ბატარეა, რომელმაც შეიძლება გამოყოს აალებადი გაზი და რომელიც განთავსებულია ძრავის კაპოტის ქვეშ, უნდა იყოს დამონტაჟებული ვენტილირებად ყუთში.

ე) განათება:

დაუშვებელია კუთხვილიანი ცოკოლების მქონე სინათლის წყაროების გამოყენება;

ვ) ავტოსტრანსპორტო საშუალებებსა და მისაბმელებს შორის ელექტროშეერთებები:

ვ.ა) ელექტროშეერთებები უნდა იყოს დამონტაჟებული ისე, რომ გამოირიცხოს:

ვ.ა.ა) ჭუჭყისა და ტენის შეღწევა (შეერთებულ ნაწილებს უნდა ჰქონდეს როგორც მინიმუმ IP54 დაცვის ხარისხი, საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC) 60529 სტანდარტის შესაბამისად);

ვ.ა.ბ) შემთხვევითი განრთვის შესაძლებლობა (შეერთებები უნდა შეესაბამებოდეს ISO 4091: 2003 სტანდარტის 5.6 პუნქტის მოთხოვნებს);

ვ.ბ) ამ პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნები ითვლება დაცულად, თუ:

ვ.ბ.ა) გამოიყენება კონკრეტული მიზნებისათვის განკუთვნილი სტანდარტიზებული შეერთებები ISO 12098:2004, ISO 7638:2003, EN 15207:2014 ან ISO 25981:2008 სტანდარტების შესაბამისად;

ვ.ბ.ბ) ელექტროშეერთება წარმოადგენს ავტომატური გადასაბმელი მოწყობილობის ნაწილს (იხ. გაეროს ეკვ №55 წესები (ერთგვაროვანი მითითებები სატრანსპორტო საშუალებების შემადგენლობების გადასაბმელი მოწყობილობების მექანიკური დეტალების ოფიციალურ დამტკიცებასთან დაკავშირებით));

ვ.გ) სხვა მიზნებისთვის ელექტროშეერთებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეესაბამებიან ამ პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

ზ) ძაბვა:

ზ.ა) ნომინალური ძაბვა ელექტროსისტემაში არ უნდა აღემატებოდეს 25 V-ს ცვლადი დენის წრედში, ან 60 V-ს მუდმივი დენის წრედში;

ზ.ბ) უფრო მაღალი ძაბვა დასაშვებია ელექტროსისტემის გაღვანურ იზოლირებულ იმ ნაწილებში, რომლებიც დამორებულია სატვირთო განყოფილების გარე ნაწილიდან ან ავზიდან მინიმუმ 0,5 მ-ით;

ზ.გ) გარდა ამისა, სისტემები, რომლებიც მუშაობენ მაღალი ძაბვის პირობებში (1 000 V-ზე მეტი ცვლადი დენის წრედში, ან 1 500 V-ზე მეტი მუდმივი დენის წრედში), უნდა იქნეს მოთავსებული დახურულ კორპუსში;



ზ.დ) ქსენონის ნათურების გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ისინი არიან აღჭურვილი ინტეგრირებული სტარტერით.

თ) ბატარეის მთავარი ამომრთველი:

თ.ა) ელექტრული წრედების განრთვის ამომრთველი უნდა იყოს განთავსებული იმდენად ახლოს ბატარეასთან, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია. ერთპოლუსიანი ამომრთველის გამოყენების შემთხვევაში ის უნდა იყოს დამონტაჟებული კვების სადენზე, და არა დამიწების სადენზე;

თ.ბ) ამომრთველის მართვის მოწყობილობა უნდა იყოს დამონტაჟებული მძღოლის კაბინაში. ის უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი მძღოლისთვის და მასზე უნდა იყოს მკვეთრი მარკირება. ის უნდა იყოს დაცული შემთხვევითი ამოქმედებისაგან დამცავი გარსაცმით, ორმაგი ამომრთველით ან სხვა შესაბამისი მეთოდით. შეიძლება დამონტაჟდეს მართვის დამატებითი მოწყობილობები, თუ მათზე წარმოდგენილია მკვეთრი მარკირება და დაცულია შემთხვევითი ამოქმედებისაგან. თუ ამომრთველის მართვის მოწყობილობას (მოწყობილობებს) აქვს ელექტროამპრაჟი, მართვის მოწყობილობის (მოწყობილობების) წრედები უნდა პასუხობდეს ამ პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს;

თ.გ) ამომრთველმა უნდა გაწყვიტოს წრედი მართვის მოწყობილობის აქტივაციიდან 10 წამის განმავლობაში;

თ.დ) ამომრთველს უნდა ჰქონდეს გარსაცმი IP65 დაცვის ხარისხით IEC 60529 სტანდარტის შესაბამისად;

თ.ე) კაბელების გადამრთველთან შეერთების კონტაქტებს უნდა ჰქონდეს IP54 დაცვის ხარისხი საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის 60529 სტანდარტის შესაბამისად. თუმცა ეს საჭირო არ არის, თუ მოცემული კონტაქტები არის გარსაცმში, რომელიც შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ბატარეის ყუთის სახით. ამ შემთხვევაში საკმარისია კონტაქტების იზოლირება მოკლე ჩართვისგან დასაცავად, მაგალითად, რეზინის ხუფის გამოყენებით;

ი) მუდმივად ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტრომოწყობილობის ნაწილები:

ი.ა) ელექტრომოწყობილობის ნაწილები, მათ შორის შემაერთებელი სადენები, რომლებიც უნდა იყოს ძაბვის ქვეშ ბატარეის მთავარი ამომრთველის განრთული კონტაქტების შემთხვევაში, უნდა იყოს გათვლილი სახიფათო ზონებში გამოყენებაზე. ასეთი აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის 60079 სტანდარტის 0 და მე-14 ნაწილების საერთო მოთხოვნებს, ასევე აღნიშნული სტანდარტის 1-ლი, მე-2, მე-5, მე-6, მე-7, მე-11, მე-15 ან მე-18 ნაწილების დამატებით მოთხოვნებს;

ი.ბ) საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის 60079 სტანდარტის მე-14 პუნქტის სარგებლობისას გამოიყენება შემდეგი კლასიფიკაცია:

ი.ბ.ა) მუდმივად ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტრომოწყობილობა, მათ შორის შემაერთებელი სადენები, რომლებიც არ ექვემდებარება ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „თ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს, უნდა შეესაბამებოდეს მთლიანად პირველ ზონაში არსებულ ელექტრომოწყობილობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ან მძღოლის კაბინაში განთავსებულ მეორე ზონაში არსებულ ელექტრომოწყობილობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. უნდა იქნეს შესრულებული მოთხოვნები IIC აფეთქებასაფრთხიან ჯგუფთან, T6 ტემპერატურულ კლასთან დაკავშირებით;

ი.ბ.ბ) მუდმივად ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტრომოწყობილობა, რომელიც დამონტაჟებულია ისეთ გარემოში, სადაც ამ გარემოში განთავსებული არაელექტრომოწყობილობის მუშაობით გამოწვეული ტემპერატურა აღემატება T6 კლასის ზღვრულ ტემპერატურას, სულ მცირე უნდა შეესაბამებოდეს T4 ტემპერატურულ კლასს.

ი.გ) მუდმივად ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტრომოწყობილობის კვების სადენები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის 60079 სტანდარტის მე-7 ნაწილის მოთხოვნებს („მომატებული უსაფრთხოება“) და იყოს დაცული მკვეთრით ან წრედის ავტომატური ამომრთველით, რომელიც დამონტაჟებულია რაც შეიძლება ახლოს ენერჯის წყაროსთან, ან ”ნაპერწკალუსაფრთხო მოწყობილობის” შემთხვევაში, უნდა იყოს დაცული დამცავი ბარიერით, რომელიც დამონტაჟებულია რაც შეიძლება ახლოს ენერჯის წყაროსთან;

ი.დ) აკუმულატორთა ბატარეის მთავარ ამომრთველთან შემოვლითი შეერთებები, რომელიც უნდა იყოს ძაბვის ქვეშ აკუმულატორთა ბატარეის მთავარი ამომრთველის განრთული კონტაქტების შემთხვევაში, უნდა იყოს დაცული გადახურებისგან შესაბამისი საშუალებების გამოყენებით, მაგალითად, დნობადი



მცველი, ავტომატური ამომრთველი ან დამცავი ბარიერი (დენის შემზღუდველი).

2. სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე დაშვების მიზნით, სატრანსპორტო საშუალების სამუხრუჭო აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) სახიფათო ტვირთების გადასაზიდად გამოსაყენებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მისაბმელები უნდა შეესაბამებოდეს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (გაეროს ეეკ) № 13 წესების (M, N და O კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების ოფიციალურ დამტკიცებასთან დაკავშირებული ერთგვაროვანი მითითებები დამუხრუჭებასთან მიმართებაში) ტექნიკურ მოთხოვნებს, მათში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით. ამ ქვეპუნქტის მოთხოვნები გამოიყენება ყველა სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით, რომლებიც არიან პირველად რეგისტრირებული (ან, თუ რეგისტრაცია არ არის სავალდებულო, პირველად არის შემოღებული ექსპლუატაციაში) 1997 წლის 30 ივნისიდან;

ბ) EX/II, EX/III, FL და AT ტიპის სატრანსპორტო საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს გაეროს ეეკ № 13 წესების მე-5 დანართის მოთხოვნებს.

3. სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე დაშვების მიზნით, სატრანსპორტო საშუალებაში ხანძრის წარმოშობის საშიშროების აცილების მიზნით დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ა) ზოგადი დებულებები:

ამ პუნქტში აღნიშნული ტექნიკური დებულებები გამოიყენება ამ რეგლამენტის №10 დანართში მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

ბ) საწვავის ავზები და ბალონები

სატრანსპორტო საშუალების ძრავში საწვავის მისაწოდებელი ავზები და ბალონები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ბ.ა) გადაზიდვის ნორმალურ პირობებში ნებისმიერი გაჟონვის შემთხვევაში, თხევადი საწვავი ან აირის საწვავის თხევადი ფაზა უნდა დაიღვაროს მიწაზე, სატრანსპორტო საშუალების გაცხელებულ ნაწილებზე ან ტვირთზე მოხვედრის გარეშე;

ბ.ბ) საწვავის ავზები თხევადი საწვავისათვის უნდა აკმაყოფილებდნენ გაეროს ეეკ №34 წესების (სატრანსპორტო საშუალებების ოფიციალურ დამტკიცებასთან დაკავშირებული ერთგვაროვანი მითითებები ხანძრის წარმოშობის საშიშროების აცილებასთან მიმართებაში) გათვალისწინებულ მოთხოვნებს; ბენზინის საწვავის ავზი უნდა იყოს აღჭურვილი ეფექტური ალსაჭერით, რომელიც იცავს ჩამოსასხმელი ყელის ნახვრეტს, ან ავზის ყელის ჰერმეტიკულად ჩამკეტი მოწყობილობით. საწვავის ავზები და ბალონები შეკუმშული ბუნებრივი აირის (CNG-compressed natural gas) და გათხევადებული ბუნებრივი აირის (LNG-liquefied natural gas) ძრავებისათვის შესაბამისად უნდა აკმაყოფილებდნენ გაეროს ეეკ №110 წესების შესაბამის მოთხოვნებს. საწვავის ავზები გათხევადებული ნავთობის აირისათვის (LPG-liquefied petroleum gas) უნდა აკმაყოფილებდნენ გაეროს ეეკ №67 შესაბამის მოთხოვნებს;

ბ.გ) აირადი საწვავის შემცველი ავზების წნევის დასაწევი მოწყობილობების ან/და მცველი სარქველების გამოსაშვები ხვრელ(ებ)ი უნდა იყოს დამორებული ჰაერშემწოვ სისტემებისაგან, საწვავის ავზისაგან, ტვირთისაგან, სატრანსპორტო საშუალების გაცხელებულ ნაწილებისაგან და გამოდინებულმა აირმა არ უნდა შეაღწიოს სატრანსპორტო საშუალების ჩაკეტილ სივრცეებში, სხვა სატრანსპორტო საშუალებაში, გარე ჰაერშემწოვ სისტემაში (მაგ. ჰაერის კონდიციონერის სისტემაში), ძრავის ჰაერსაკრებ ან აირების გამომშვებ სისტემებში. საწვავის სისტემის მილები არ უნდა მაგრდებოდეს ტვირთის შემცველ კორპუსებზე;

გ) ძრავა

სატრანსპორტო საშუალების ძრავა უნდა იყოს აღჭურვილი და განთავსებული ისე, რომ ტვირთს არ შეექმნას გაცხელების ან აალების საშიშროება. CNG-ს და LNG-ს საწვავის სახით გამოყენება დასაშვებია, თუ მათთვის დამონტაჟებული სპეციალური მოწყობილობები ოფიციალურად დამტკიცებულია გაეროს ეეკ №110 წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სატრანსპორტო საშუალებაზე მათი მონტაჟი უნდა შეესაბამებოდეს გაეროს ეეკ №110 წესების და ამ მუხლის მე-2 პუნქტის ტექნიკურ მოთხოვნებს. LPG-ს საწვავის სახით გამოყენება დასაშვებია, თუ მათთვის დამონტაჟებული სპეციალური მოწყობილობები ოფიციალურად დამტკიცებულია გაეროს ეეკ №67 წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სატრანსპორტო საშუალებაზე მათი



მონტაჟი უნდა შეესაბამებოდეს გაეროს ეეკ №67 წესების და ამ მუხლის მე-2 პუნქტის ტექნიკურ მოთხოვნებს. EX/II და EX/III ტიპის სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული ძრავა შეკუმშვისგან აალებადობით, მხოლოდ თხევადი საწვავის გამოყენებით აფეთქების ტემპერატურით 55 °C-ზე ზემოთ. აირების გამოყენება დაუშვებელია;

დ) გამონაბოლქვი აირების გამოშვების სისტემა

გამონაბოლქვი აირების გამოშვების სისტემა (გამოსაშვები მილების ჩათვლით) უნდა იყოს განთავსებული ან დაცული ისე, რომ ტვირთს არ შეექმნას გაცხელების ან აალების საშიშროება. უშუალოდ საწვავის ავზის ქვეშ (დიზელის საწვავის შემთხვევაში) განთავსებული გამონაბოლქვი აირების გამოშვების სისტემის ნაწილები უნდა იყოს დამორებული მისგან მინიმუმ 100 მმ ან დაცული ავზისგან სითბოს მცველი ეკრანით;

ე) სატრანსპორტო საშუალების ცვეთამედეგი სამუხრუჭო სისტემა

ე.ა) სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც აღჭურვილია მაღალი ტემპერატურის გამომყოფი ცვეთამედეგი სამუხრუჭო სისტემით, რომელიც განთავსებულია მძღოლის კაბინის უკანა კედლის მიღმა, უნდა იყოს აღჭურვილი საიმედოდ დამაგრებული სითბოს მცველი ეკრანით, დამონტაჟებული ამ სისტემას და საწვავის ავზს ან ტვირთს შორის ისე, რომ არ მოხდეს ავზის კედლის ან ტვირთის რაიმე სახით, თუნდაც ადგილობრივი გაცხელება;

ე.ბ) ამ პუნქტის „ე.ა.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სითბოს მცველი ეკრანი უნდა იცავდეს სამუხრუჭო სისტემას გადასაზიდი ტვირთის ნებისმიერი, მათ შორის ავარიული, გაქონვისგან ან ამოვარდნისგან (მაგალითად: დამაკმაყოფილებლად ითვლება ორმაგი გარსის ეკრანით უზრუნველყოფილი დაცვა).

ვ) საწვავით გამათბობლები:

ვ.ა) საწვავით გამათბობლები უნდა შეესაბამებოდეს გაეროს ეეკ №122 წესების (M, N და O კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების ოფიციალურ დამტკიცებასთან დაკავშირებული ერთგვაროვანი მითითებები მათი გათბობის სისტემებთან მიმართებაში) შესაბამის ტექნიკურ მოთხოვნებს, მათში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, ასევე ამ პუნქტის „ვ.ბ-ვ.ვ.“ ქვეპუნქტების მოქმედ მოთხოვნებს ამ რეგლამენტის №10 დანართში მითითებული ცხრილის შესაბამისად;

ვ.ბ) საწვავით გამათბობლები და გამონაბოლქვი აირების გამოშვების სისტემა უნდა იყოს კონსტრუირებული, განთავსებული, დაცული ან იზოლირებული საფარით ისე, რომ ტვირთს არ შეექმნას გაცხელების ან აალების საშიშროება. ეს მოთხოვნა შესრულებულად ჩაითვლება, თუ საწვავის ავზი და გამონაბოლქვი აირების გამოშვების სისტემა აკმაყოფილებს სატრანსპორტო საშუალებების საწვავის ავზებისთვის და გამონაბოლქვი აირების გამოშვების სისტემისთვის ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებში დადგენილ მოთხოვნებს;

ვ.გ) საწვავით გამათბობლების გამორთვა უნდა მოხდეს სულ მცირე შემდეგ შემთხვევებში:

ვ.გ.ა) მძღოლის კაბინიდან განზრახ ხელით გამორთვა;

ვ.გ.ბ) სატრანსპორტო საშუალებების ძრავის გამორთვა, ამ შემთხვევაში გამათბობელი შეიძლება ხელახლა ჩაერთოს ხელით მძღოლის მიერ;

ვ.გ.გ) სატრანსპორტო საშუალებაზე გადასაზიდი სახიფათო ტვირთებისთვის საკვები ტუმბოს ჩართვისას;

ვ.დ) დაიშვება საწვავით გამათბობლების მუშაობა ინერციის რეჟიმში მათი გამორთვის შემდეგ. ამ პუნქტის „ვ.გ.ბ“ და „ვ.გ.გ“ ქვეპუნქტებში მითითებულ შემთხვევებში წვის კამერაში ჰაერის მიწოდება უნდა შეწყდეს სათანადო საშუალებების გამოყენებით არაუმეტეს 40 წამის ხანგრძლივობით ინერციის რეჟიმში მუშაობის ციკლის შემდეგ. უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ ისეთი საწვავის გამათბობლები, რომელთა დაკავშირებით წარმოდგენილია მტკიცებულებები, რომ თბოგადამცემი უძლებს 40 წამის ხანგრძლივობით ინერციის რეჟიმში მუშაობის შემოკლებულ ციკლს ამ ხელსაწყოების ჩვეულებრივი ექსპლუატაციის პერიოდში;

ვ.ე) საწვავით გამათბობლების ჩართვა უნდა განხორციელდეს ხელით. პროგრამირების მოწყობილობების გამოყენება დაუშვებელია;

ვ.ვ) აირისებრ საწვავზე მომუშავე საწვავით გამათბობლების გამოყენება დაუშვებელია.



4. სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე დაშვების მიზნით, სატრანსპორტო საშუალების სიჩქარის შემზღვეველი მოწყობილობა უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) 3,5 ტონაზე მეტი მაქსიმალური მასის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებები (სატრანსპორტო საშუალებები ხისტ ჩარჩოზე და ნახევარმისაბმელების საწვეარები) უნდა იყოს აღჭურვილი სიჩქარის შემზღვეველი მოწყობილობით გაეროს ეკ №89 წესების (შეტანილი შესწორებების გათვალისწინებით) შესაბამისად. ეს მოწყობილობა უნდა იყოს დარეგულირებული ისე, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების სიჩქარე არ აღემატებოდეს 90 კმ/სთ;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნები (გაეროს ეკ №89 წესების შესაბამისად) გამოიყენება 12 ტ მეტი მაქსიმალური მასის მქონე ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით, რომლებიც არიან პირველად რეგისტრირებული 1987 წლის 31 დეკემბრიდან და 3,5 ტ მეტი, მაგრამ არაუმეტეს 12 ტ მაქსიმალური მასის მქონე ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით, რომლებიც არიან პირველად რეგისტრირებული 2007 წლის 31 დეკემბრიდან.

5. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მისაბმელების გადასაბმელი მოწყობილობები უნდა შეესაბამებოდეს გაეროს ეკ №55 წესების (ერთგვაროვანი მითითებები სატრანსპორტო საშუალებების შემადგენლობების გადასაბმელი მოწყობილობების მექანიკური დეტალების ოფიციალურ დამტკიცებასთან დაკავშირებით) ტექნიკურ მოთხოვნებს, მათში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

6. საწვავთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენცია

გათხევადებული ბუნებრივი აირის (LNG) ძრავებისათვის საწვავმიმწოდი სისტემა უნდა იქნეს აღჭურვილი და განლაგებული ისე, რომ რომ ტვირთი დაცული იყოს აირის გაგრილების შედეგად გამოწვეული ნებისმიერი საფრთხისაგან.

7. დამატებითი მოთხოვნები

სახიფათო ტვირთების შეფუთვებში ან დაყრით გადასაზიდად და რეგულირებადი ტემპერატურის პირობებში ნივთიერებების გადასაზიდად განკუთვნილ სრულად ან დასრულებულად დაკომპლექტებულ სატრანსპორტო საშუალებებთან, დამონტაჟებულ ცისტერნებთან (ავტოცისტერნებთან), სატრანსპორტო საშუალება-ბატარებსა და სრულად ან დასრულებულად დაკომპლექტებულ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც გამოიყენება სახიფათო ტვირთების გადასაზიდად 1მ³-ზე მეტი მოცულობის სახსნელი ცისტერნებით ან 3მ³-ზე მეტი მოცულობის კონტეინერ-ცისტერნებით, გადასატანი ცისტერნებითა ან მრავალელებიანი აირის კონტეინერებით, აგრეთვე სრულად ან დასრულებულად დაკომპლექტებულ ფეთქებადი ნივთიერებების მობილურ დანადგართან (MEMU) დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები მოყვანილია ADR-ის 9.3-9.8 თავებში.

მუხლი 13. განსაზღვრული სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე სატრანსპორტო საშუალებების დაშვების მოწმობის გაცემის პირობები და ვადები

1. დაშვების მოწმობა განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე გაიცემა მხოლოდ EX/II, EX/III, FL და AT და MEMU-ს ტიპის სატრანსპორტო საშუალებებზე.

2. EX/II, EX/III, FL და AT და MEMU-ს ტიპის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც გამოიყენება განსაზღვრული სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე, უნდა აკმაყოფილებდნენ ამ რეგლამენტის მე-12 მუხლის მოთხოვნებს ამ რეგლამენტის №10 დანართში მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

3. სატრანსპორტო საშუალებების არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას ახორციელებენ აკრედიტებული ინსპექტირების ცენტრები.

4. სატრანსპორტო საშუალება შესაძლებელია ეკუთვნოდეს ერთ ან რამდენიმე ტიპს (EX/II, EX/III, FL, AT ან MEMU).

5. სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, ინსპექტირების ცენტრების მიერ გაიცემა შესაბამისობის შეფასების ოქმი განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე სატრანსპორტო საშუალების დასაშვებად ამ რეგლამენტის №11 დანართში მოყვანილი ფორმის მიხედვით.

6. განსაზღვრული სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობის



მისაღებად, განმცხადებელმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს განცხადება, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე დასაშვებად სატრანსპორტო საშუალების შეფასების ოქმის დედანი;

ბ) სატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დამადასტურებელი ინსპექტირების ანგარიში;

გ) სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) სატრანსპორტო საშუალების მართლობიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

7. სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების და თანდართული საბუთების შესაბამისობას ამ რეგლამენტის, ADR-ის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

8. განცხადებისა და თანდართული საბუთების დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, სააგენტო განმცხადებელს მიუთითებს შესაბამის ხარვეზზე და განუსაზღვრავს ვადას (რომელიც არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები), რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა გამოასწოროს ხარვეზი და წარმოადგინოს ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი ან წერილობითი ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით.

9. სააგენტო ახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ექსპერტიზას, განიხილავს მის შედეგებს და დადგენილი წესით ღებულობს გადაწყვეტილებას დაშვების მოწმობის გაცემის ან გაცემაზე უარის თაობაზე.

10. დაშვების მოწმობის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ივსება ამ რეგლამენტით დადგენილი ფორმის დაშვების მოწმობა (დანართი №7), რეგისტრირდება უწყებრივ რეესტრში და გაიცემა განმცხადებელზე. მათი ასლები ინახება სააგენტოში. ამასთან, ამ პუნქტით გათვალისწინებული დაშვების მოწმობაში და ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შესაბამისობის შეფასების ოქმში, ცისტერნის კოდი უნდა პასუხობდეს ამ რეგლამენტის დანართი №13 და დანართი №14 გათვალისწინებულ პირობებს.

11. განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე სატრანსპორტო საშუალებების დაშვების მოწმობა გაიცემა მათი სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე დასაშვებად შესაბამისობის შეფასების ჩატარების თარიღიდან 12 თვის ვადით. დაშვების მოწმობა მოქმედია მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ანგარიშის მოქმედების ვადაში.



ერთსა და იმავე სატრანსპორტო კატეგორიას მიკუთვნებული სახიფათო ტვირთების მაქსიმალური საერთო ოდენობა, რომელთა გადაზიდვა შესაძლებელია შეფუთვების სახით ერთ სატრანსპორტო ერთეულში წინამდებარე რეგლამენტის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში მოყვანილი ADR-ის დებულებების გამოყენების გარეშე

სატრანსპორტო კატეგორია	ნივთიერებები ან ნაკეთობები შეფუთვის ჯგუფი ან კლასიფიკაციის კოდი/ჯგუფი ან გაეროს №		მაქსიმალური საერთო ოდენობა ერთ სატრანსპორტო ერთეულზე
1	2		3
